

35 ივლის

1369 №14.117



# ქვეყნის

დავით აღმაშენებლის (პლენანოვის)



გამზირის ტრადიციათა აღორძინების საზოგადოების გაზეთი

№ 7 (19) ✦ ივლისი  
1999 წელი  
ფასი 50 თეთრი

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## ქართლის მეფე სიმონ I

სიმონ I (დაიბადა 1537 წელს, გარდაიცვალა 1611 წელს) ქართლის მეფე იყო 1556-1569, 1578-1599 წლებში. ის იყო ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის შვილი. ლუარსაბ მეფემ გმირულად იბრძოლა სპარსელი მოძალადეების წინააღმდეგ. სპარსეთის შაჰის შაჰ თამაზის დავალებით ქართლის წინააღმდეგ საომარ მოქმედებას განუწყვეტლივ ეწეოდა ყარაბაღის მმართველი შავერდი სულთანი.

1556 წელს დიდი ბრძოლა მოხდა სპარსელებსა და ქართველებს შორის. სპარსელები დიდძალი ლაშქრით შემოესივნენ ქართლს. ამ დროს ქართლის მეფეს ლუარსაბს საკმაო ლაშქარი არ აღმოაჩნდა, მოძალადეების წინააღმდეგ. ბრძოლა მოხდა გარისტან, მდ. ქციის (ხრამის) ხეობაში ქართველთა ბრძოლებს სპარსელების წინააღმდეგ მამა და შვილი - ლუარსაბი და მისი ვაჟიშვილი სიმონი მეთაურობდნენ. ამ ბრძოლაში ლუარსაბ მეფე გმირულად დაიღუპა. შვილმა ვერ მოასწრო მიშველებოდა მამას.

ამიერიდან ქართლის მეფე გახდა ახალგაზრდა სიმონი - სიმონ I-ის სახელწოდებით. სიმონ მეფე იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, სამხედრო საქმეების კარგი მცოდნე, დიპლომატი, ბრძოლებში უშიშარი და შეუდრეკელი.

სიმონმა მთელი ენერგიით განაგრძო ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბრძოლების წარმოება მას მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა: ებრძოდა მოძალადე სპარსელებს, ებრძოდა შინაგან მტრებს, მოღალატეებს, რომლებიც შაჰის სამსახურში მიდიოდნენ. ყოველივე ამას 1562 წელს დაემატა ის, რომ სიმონის ძმამ დავითმა (შემდგომში დაუდხანად წოდებულმა), მაჰმადიანობა მიიღო და შაჰს ეახლა. შაჰმა ის სიამოვნებით მიიღო, ლაშქარი მისცა და ქართლში გამოგზავნა თავისი ძმის წინააღმდეგ. დაუდხანი ქვემო ქართლში დაბანაკდა და იქიდან ებრძოდა თავის ძმას.

დასასრული გეორგი გვარდია



ივანე  
პირველი

SIMEON PRINCIPLE DE GEORG  
ANE  
Paris Form

**მიტევაპის კვირა**



**2** რელიგია

**პირველი მადონის დღე**




**4** ელიტა

**ბავშვობის კუნძული**



**5** აოუტი

**კასი - "სიფარი კლანიტიდან"**



**9** მენიერება



# ქართლის მეფე სიმონ I

1569 წელს ფარცხისთან (ალგეთის ხეობა) მოხდა ბრძოლა სპარსელებსა და სიმონ მეფის ჯარს შორის. სპარსელებს მხარს უჭერდა დაუდხანი თავისი ძალებით. ამ ბრძოლაში სიმონი ტყვედ ჩავარდა. იგი სპარსეთში წაიყვანეს და ყაზვინში ჩასვეს, იმ ციხეში, სადაც უფროსი შვილი იჯდა. (შაჰმა ის დააპატიმრა, იმის შიშით, რომ ტახტს წაართმევდა).

შაჰის შვილი ისმაილი და სიმონ მეფე დამეგობრდნენ. იგი დაპატიმრდა სიმონს, როცა იგი სპარსეთის შაჰის ადგილს დაიკავებდა, სიმონს ქართლში დააბრუნებდა მეფედ, ერთი პირობით, რომ სიმონი არასოდეს იარაღს აღმართავდა სპარსელების წინააღმდეგ. ორივეს ჩვენ გვეყოფა ერთი მტერი თურქეთი და ერთად ვიბრძოლოთ მის წინააღმდეგ – უთხრა სიმონს ისმაილმა. ასეც მოხდა: შაჰ თამაზი გა-

რდაიცვალა, სპარსეთში გამეფდა ისმაილი. მართალია, ის მალე მოკვდა, მაგრამ სიმონს პირობა შეუსრულეს და 1578 წელს, სპარსეთის ჯარის ნაწილების თანხლებით სიმონ მეფე ქართლში დაბრუნდა და განაგრძო მეფობა.

ამიერიდან მოყოლებული, სიმონ მეფე, სპარსელების მხარდაჭერით გმირულად იბრძოდა თურქების წინააღმდეგ, ვიდრე 1599 წელს თურქებთან ბრძოლებაში ტყვედ არ ჩავარდა. იგი მაშინვე კონსტანტინეპოლში წაიყვანეს და იქ ჩასვეს ციხეში. სიმონ მეფე იმდენად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მტრებშიც კი, რომ თურქებმა ნება დართეს მისი ცხედარი საქართველოში გადმოესვენებინათ და მცხეთაში დაესაფლავებინათ.

სიმონ მეფემ დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა უცხოეთშიც, როგორც ნიჭიერმა და სა-

მშობლოსათვის თავდადებულმა მეფე-მებრძოლებმა. იგი თავის ერთ-ერთ წერილში რომის პაპს სწერდა: „სანამ ცოცხალი ვარ, თავს არ დავმოგავ სამშობლოსათვის, ქრისტესათვის“...

სიმონ მეფეს მიწერ-მოწერა ჰქონდა რომის პაპებთან, გერმანიის იმპერატორთან, ესპანეთის მეფესთან, ტრანსილვანიის მთავრებთან. სიმონ I-ის შესახებ მასალები შემონახულია უცხოეთის (ვატიკანი, საფრანგეთი, ესპანეთი...) არქივებში. ამ საარქივო მასალის დიდი ნაწილი ამჟამად ჩვენს ხელშია და მზადდება გამოსაქვეყნებლად.

პროფ. ილია ტაბაღუა  
1999 წ. 25 ივნისი.

სიმონის ეს სახე (სურათი) აღმოჩნდა ქსანეთის არქივებში. ქვეყნდება პირველად.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულითა წმიდისათა!

ძმანო და დანო! დიდმარხვის წინა დღეს ეწოდება მიტევების კვირა და ჩვენ ძველი წეს-ჩვეულების თანახმად, შევთხოვთ ერთმანეთს შენდობას.

ზოგიერთს უკვირს – რატომ უნდა ვითხოვოთ პატიება ადამიანებისაგან, რომელთაც ნაკლებად ვიცნობთ, ან საერთოდ, პირველად ვხვდებით? რა დავუშავებთ მათ?

უსლოვარი დროიდან, ცოდვამ საშინელი ეპიდემიასავით მოიცვა სამყარო, ჩვენ ვიძიებთ პირველი ადამიანის დაცემის მწარე ნაყოფს. თუმცა, ჩვენ მრავლად ჩავდივართ ცოდვებს, რომლებიც მრავლად აღმოცენდებიან გულის სიღრმეში და მოწამლული ტალღებით უხილავად ეფინებიან. სამყაროს. ასე ვასხივებთ ბოროტების შავ სხივებს და ვწამლავთ ირვლივ ყველაფერს – დედამიწას, პაერს, ერთმანეთს. ჩვენი ცოდვები წვეთ-წვეთად გროვდებიან და გარდაიქმნებიან უხარმაზარ მოწამლულ ზღვად, რაც თავს ატყდება კაცობრიობას საშინელი ომებით, უბედურებებითა და ნგრევით. ამიტომ, როდესაც ვცოდავთ, თითოეული ადამიანის წინაშე ვართ დამნაშავე.

დიდ მარხვის წინა დღეს მიტევების კვირა ეწოდება და ჩვენც მთელი სულითა და გულით უნდა მივუტევოთ ერთმანეთს ყველაფერი, რადგან ქრისტიანს ერთი ნამდვილი მტერი ჰყავს – ეშმაკი.

ჩვენ გვგონია, რომ საკმარისია ბოროტებას ბოროტებით არ ვუპასუხოთ და ქრისტეს მცნება მიტევების შესახებ შესრულებული გვექნება, ამ დროს კი მაწმინდარტ ცივად და უგულისყუროდ ვემცვივით, გვსურს საბოლოოდ ამოვივლოთ ისინი გულიდან. ზოგი იმასაც აცხადებს – ესა და ეს ადამიანი მკვდარია ჩემთვისო, – რითაც თავის სიძულვილს ააშკარავებს.

ძმანო და დანო! მიტევება ნიშნავს წყნის დაიწყებას, მოყვანის სიყვარულის დაბრუნებას. ზოგი გარეგნულად თითქოს-და იოლად პატიობს წყნას, მაგრამ თუ მიეცა საშუალება, წამსვე იხსენებს ყველაფერს. მათ მესხიერებაში თითქოს სპეციალური წიგნი იყოს გახსნილი, რომელშიც ადამიანთა შეცდომებსა და ცოდვებს იწერენ. როდესაც ვინმეს აპატიებენ რაიმეს, ამ ფურცელს დროებით დახურავენ ხოლმე, მაგრამ როგორც კი მიეცემათ სულ მცირე საბაბიც კი, გადაშლიან და სათითაოდ ჩამოთვლიან ყველაფერს. ეს არ არის მიტევება. ასეთი ადამიანები ვერ ეზიარებიან ღვთიურ მადლს და მთელ თავის ცხოვრებას სხვათა ცოდვების ზიდავაში გაღვევენ.

როგორ გავიგოთ, ვულწრფელად ვპატიობთ ადამიანს თუ არა? ამას სამი ნიშნით მივხვდებით:

1. თუ გავიგოთ, რომ ადამიანს, რომელმაც გვაწყენინა, რაღაც უსიამოვნება ან უბედურება შეემთხვა და გულის სიღრმეში ვიტყვი – აი როგორ დაისავაო, – ეს იმას ნიშნავს,

## მიტევების კვირა

რომ მთელი გულით არ გვიპატიობა. 2. თუ გავიგოთ, რომ ადამიანმა, რომელმაც გვაწყენინა, სახელი გაითქვა და ამ ამბავმა ნემსით გვიჩხვლიტა გულში, – ჩვენ მისთვის არ გვიპატიობია. გულისწერომა გველივით ჩავგებულებია გულში.

3. თუ გვიჭირს მაჭირებელთა მოხსენება ლოცვებში, გვიძიმს მათი სახელების წარმოთქმა, ე. ი. არ გვიპატიობია მათთვის.

ზოგიერთი იმასაც იტყვის: რატომ უნდა გვიყვარდეს მტრები, როდესაც მათ სულაც არ სურთ სიყვარული, მათ უარევენ და შეურაცხვეს იგი, როგორღა შევიყვაროთ ისინი?

მტრების სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი სულითვისაა საჭირო. ეს ხომ ქრისტეს მცნებაა. ქრისტეს მცნება კი სინათლე და ცხოვნებაა. ქრისტემ ხომ თვით გვიჩვენა მაგალითი მტრების სიყვარულისა. ადამიანების უდიდესი სიყვარულით მოგვევლინა მაცხოვარი, ჩვენგან კი რა მიიღო, ტანჯვა, ცილისწამება და ჯვარცმა. ჩვენ რა, ასეთი ტანჯვა და წამება შეგვემთხვევა როდისმე?

ალექსანდრიაში, იოანე მოწმინდის პატრიარქობის დროს ჩამოვარდნილა შუღლი. რა არ იღონა წმ. იოანემ, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა მათი შერიგება. ბოლოს პატრიარქმა ერთ-ერთი მათგანი ეკლესიაში მიიწვია, საზეიმო წირვაზე. მამან ეს დიდ პატივად ითვლებოდა. პატრიარქმა მას საღვთისმსახურო წიგნის კითხვა დაავალა და თვითონაც გვერდით ამოუდგა. როდესაც „მამაო ჩვენოს“ კითხვისას უნდა ეთქვა... „და მოგვიტყვენ ჩვენ თანა-

დებნი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანადად მათ ჩვენთა“, პატრიარქმა გააჩერა და უთხრა: ვის ეუბნები ამ სიტყვებს? მართლა მიუტევებ შეცოდებანი შენს თანამდებთ? ხომ არ ცრუობ ამ წმიდა ადგილას? გაოგნებული დიდებული ჩაუვარდა ფეხებში პატრიარქს. აცრემლებული პატიებას ითხოვდა და ამბობდა: – ამ წუთიდან იმ კაცს მტრად აღარ ვთვლი!

ძმანო და დანო, თუ თქვენ სამართლიანად გწყენინეს, იგი თქვენი დანაშაულის გამოსასყიდ სასჯელად მიიღეთ. თუ უსამართლოდ გწყენინეს და ღირსეულად გადაიტანეთ ყოველივე – გიხაროდნენ და მზიარულ იყენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი ფრიად არს ცათა შინა“.

ხელაეთ! მტრებს ისეთი სიკეთის გაკეთება შეუძლიათ ჩვენთვის, რასაც მეგობრები ვერასოდეს ვერ შესძლებენ. მიწიერი განსაცდლები სულიერი კიბა, რომელსაც ზეცაში აუყვარო.

უნდა გვიყვარდეს მტრები, ყოველი ადამიანი ხომ ღვთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი. თუ ჩვენ მივეჩვევით ყოველ ადამიანს ღვთის დიდების გაუხუნებელი ხატის დანახვას, – ყველას შესაფერისი პატივისცემითა და სიყვარულით მოვეპყრობით. ოქრო რა ჭუჭყშიც არ უნდა ჩავარდეს და

ცხოვნების ერთადერთი გზაა დაგვრჩენია – მივუტევოთ ყველას ყველაფერი, რათა უფალმა მოგვიტევოს ჩვენ.

დიდი ბედნიერებაა ადამიანისთვის ცოდვის მიტევება. ძალიან მძიმე ტვირთია გულში სიძულვილისა და მრისხანების ტარება. მამ რატომღა ასე ძნელი შენდობა?

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი აშკარტანების გამო. იგი გვაიძულებს დავინახოთ სხვებში მხოლოდ მათი ნაკლოვანებები და უარყოფითი თვისებები. ნოსელი ეპისკოპოსი გრიგოლი ამბობს: როდესაც მოგვწონს საკუთარი თავი, სხვები უღამაზოდ და დაინებულად გვეჩვენებიან, ხოლო როგორც კი დაინახავთ ჩვენს ცოდვასა და სიმახინჯეს, მამინევი ჩნდება სხვათა სილამაზეცა და მნიშვნელობაც.

მეორე სენი, რომელიც არ გვაძლევს მიტევების საშუალებას, ვერცხლისმღვარებობაა, ანუ ნივთების სიყვარული. იგი გვაიძულებს შიშით ეუფროთ ყველას, ხომ არ გვართმევს რაიმეს? ხომ არ გვაპარავენ? რაიმე მიწიერ სიამოვნებას ხომ არ გვაცლიან? წმიდა მამები ამბობენ, რომ ზოგიერთი იმ აზრით აგროვებდა ფულს, რომ შემდეგ გაჭირვებულს დახმარებოდა, სინამდვილეში კი ფულმა დაიპყრო მათი გულები და მხოლოდ ადამიანთა სიძულვილი შეიძინეს.

სიყვარულს დემონიც ანგრევს. ხანდახან ჩვენ ვგრძნობთ გულში მის გამყინავ და მრისხანე სუნთქვას. სიყვარულს დემონის შვილები ჭორიანები, ცილისმწამებლები და დამსმენებიც ანგრევენ. ისეთი საცოდავი ანგრევენი არიან. მათ ადამიანისადმი ბოძებული უდიდესი საწყური – სიტყვა, რომლითაც ჩვენ განსხვავდებით ყველა სხვა არსებისგან დედამიწაზე, სიტყვა, რომლითაც შეგვიძლია ღვთის დიდება, სახარების ქადაგება და ლოცვა, ეს სიტყვა მათ ატყევენ გველის სისინად, რომლითაც გვსლავენ ყველას, ვინც ჩაუვარდებათ პირში. ეს სუსტი შედარებაა, რადგან გველი გვსლავს მამინ, როცა ვინმე მიეკარება, იცავს თავის სიცოცხლეს, ჭორიანები, ცილისმწამებლები და დამსმენები კი გესლავენ ყველას, განურჩევლად იმისა, დაუშავენ მათ რამე თუ არა.

ერთ ძველსიძველ მოთხრობაში აღწერილია ორი მონაზვნის ამბავი. ისინი ბავშვობიდანვე ეკლესიაში მსახურობდნენ. შენარჩუნებული ჰქონდათ

ქალწულება, მკაცრად მარხულობდნენ და არ შორდებოდნენ ეკლესიის გალავანს. მაგრამ ბოროტმა ასწავლა ჭორაობა და ისინიც დღე და ღამე ხლართავდნენ ჭორებსა და ცილისწამებას. მათ გაჩერებას შეეცადნენ მღვდლები, ეპისკოპოსიც კი, მაგრამ ამოდ. რადგან ეს სენი ლოთობის მაგვარია, ვითრეც და ვედარ ეშვები. როდესაც გარდაიცვალნენ, გაითვალისწინეს მათი მსახურება და იქვე ტაძარში დაასაფლავეს, მაგრამ წირვის დროს, როდესაც დიაკონი იტყოდა, „კათაქმეველნი განველით“ მათი საფლავებიდან წარმოდგებოდა ორი აჩრდილი და სასწრაფოდ გადიოდა გარეთ. ასე განმეორდა მრავალჯერ. აცნობეს ეპისკოპოსს. მანაც შეკრიბა მრევლი და აყურთხა, ელოცათ ამ საცოდავთათვის, რათა უფალს მიეტევებინა მათთვის ეს ცოდვები. მრავალი აღვლენილი ლოცვის შემდეგ შეწყდა ეს ჩვენება. ფერმ ასური ამბობს: „მე არ მიევირს, როდესაც ჯოჯოხეთში მკვლელები და ყაჩაღები მიდიან, მაგრამ მიევირს, როდესაც იქ მარხვითა და ლოცვით ნამოღვაწარი მიექანებიან ხოლმე“.

და ბოლოს, მინდა დავამთავრო ქადაგება რჩევით, თუ როგორ დავამყაროთ მშვიდობა იმ ადამიანებთან, რომელთაც არ სურთ ჩვენთან შერიგება. მაგალითისათვის ერთი ამბავი უნდა გაამბოთ:

ერთხელ ბერთან მივიდა კაცი და უთხრა: ერთ კაცთან ჩხუბი მომივიდა. მივედი შესაროგებლად, მაგრამ კარიც კი არ გამიღო. ბერმა ჰკითხა: რომ მიდიდი, რას ფიქრობდი?

– ვფიქრობდი, ყველაფერში დამნაშავე ის არის-თქო. სულ ტყუილად მომაცინა შეურაცხყოფა, მე კი მანაც მონასავით უნდა ვეახლო და პატიება ვთხოვო.

– ამიტომაც არ გაგიღო კარი, შენი სულიერი მდგომარეობა მასაც გადაეცაო. ახლა კი წადი და ეცადე, რომ ყველაფერში მხოლოდ შენი თავი დაადანაშაულო.

მიიღო ეს რჩევა კაცმა და ასეც მოიქცა. როდესაც მოშუღლის კარს მოუახლოვდა, გაიღო კარი, გამოვიდა სახლის პატრონი და გადაეხვია სიტყვებით: ძმანო, ეშმაკმა გვაცლუნა ორივე. მაპატიე და მეც გაპატიე. ქრისტე იყოს ჩვენს შორის.

ხელაეთ! ჩვენი სულიერი მდგომარეობა, ჩვენი ფიქრები უხილავად გადაეცემა სხვებს. ამიტომ უნდა ვილოცოთ და შევთხოვოთ უფალს, რათა შეგვაროგოს ადამიანებთან, რომლებსაც ვაწყენინებ ნებსით თუ უნებლიედ, უნდა ვეცადოთ, არ განვიყოთ ისინი, ფარულად ვაკეთოთ მათთვის სიკეთე და ქველმოქმედება.

დიდმარხვას განწყენილი გულით უნდა შეგვევლოთ. მარხვის მიზანი ხომ ღვთიური მადლის მოპოვებაა, მადლს კი არ უყვარს გულში ჩაბუდებული სიბინძურე. მარხვით სხეული ემორჩილება სულს, სული კი – ღმერთს.

არქიმანდრიტი რაფაელი



დაისვაროს, ამით მისი ღირებულება არ დაიკარგება, გამოუცდელ თვალს კი უმნიშვნელო საგანი ეგონება:

მტრებს დიდი სარგებლობა მოაქვთ ჩვენთვის: გვაიძულებენ უფრო დაკვირვებით მოვეკიდოთ ცხოვრებას, გვახსენებენ წუთისოფლის წარმატებასა და სიკვდილის არსებობას, აძლიერებენ ჩვენს ნებისყოფას. ისინი გვეხმარებიან სულის ცხოვნებაში და ღმერთთან შერიგებაში. წმიდა ეგნატე ბრიანჩანი-ნოვი ამბობს: ისეთი დრო დადგა, აღარ შეგვეწევს ძალა იმგვარი მოღვაწეობისათვის, როგორსაც ძველი ქრისტიანები ეწოდებდნენ. ჩვენი მარხვა ვერ შეედრება მათ მარხვას, ჩვენ არ შეგვიძლია მათსავით სიცივის, სიციხის, ათასგვარი გაჭირვების გადატანა, ვერც მათსავით უანგარონი ვართ. ამიტომ



# ჩვენი სახლი, ჩვენი ქუჩა, ჩვენი სკოლა, ჩვენი უბანი, ჩვენი თბილისი

## გაგრძელება. დასაწყისი №6

ფეხბურთის მოედანზე ვეებერთელა ხალიჩა დააფინეს, რომელზეც ჭადრაკის 64 შევთორი უჯრა აჭრებულყოფილი ფიგურებზე შევთორ ტანსაცმელში გამოწვივებული 32 ცოცხალი ადამიანი განლაგეს და პარტიაც დაიწყო; მეტოქეებზე დაფის აქეთ-იქით, საგანგებო ფიცრულ შემადლებებზე, საგანგებო მოწვევული ცნობილი დიდოსტატები წამოკლებულიყვენ და საგანგებო შიკრიკებს, რიგ-რიგობით, თავთავიანი სულს უკარნახებდნენ; შიკრიკებიც რიგ-რიგობით კითხავდნენ ამა თუ იმ ფიგურას და ხელაკიდებულნი გადაკავებდნენ იგი დიდოსტატის ნაკარნახევ ახალ უჯრანზე; დიდოსტატების გვარები და პარტიის შედეგი არ დამახსოვდა, მაგრამ ერთი ეპიზოდი კი ვერა და ვერ დავივიწყებ: პაიკებზე ლამაზი გოგონები იდგნენ, სულ ერთიმეორეზე უკეთესი, პაიროვან შევთორ მოსასხამებში გახვეულნი; ზაფხული იყო, ძალიან ცხელი, დიდოსტატები არ დრეკებოდნენ, პროფესიულ ჩვევებს არ დალატობდნენ და თითოეულ სვლაზე ჩვეულებრივ მოგვლავთათვის წარმოდგენილად დიდხანს ფიქრობდნენ; და უცებ, სადაც მიტეულმაილის „მიდა-მოეპი“, დაფაზე დიდი ალიაქოთი ატყდა: ერთ-ერთ შევ პაიკს სიცხისგან გული შეუღონდა და, იმ მომენტისთვის ცენტრალურ თორ უჯრანზე მდგარი, იქვე უგონოდ ჩაიკეცა; შიკრიკებმა სასწრაფოდ გააქანეს საბრალო პაიკი სამედიცინო პუნქტისკენ, პარტია კი დროებით შეწყდა სათადარიგო პაიკის გამოხველამდე...

მეორე, ასევე დაუვიწყარი, თუმცა კი ყოველგვარი კურიოზების გარეშე შესრულებული ნომერი, როგორც უკვე ითქვა, ლექსისი გახლდათ: მოედანზე გამოვლად, რომ არ მოგატყუოთ (ზუსტად არ მახსოვს და) თხოუმეტი თუ უფრო მეტი აკრობატი წითელი ტრუსებითა და მაისურებით; აკრობატული რეპერტორი, რადიოდ გამოცხადდა, მაგრამ, რაც იქ ვიხილეთ, „ეტიუდი“ კი არა, მუსიკალური ტერმინოლოგიით თუ ვისარგებლებ, მთელი „სიმფონია“ იყო. ისე, რომ იცოდეთ, ტერმინი „ეტიუდი“ სპორტულ აკრობატიკაში არ იხმარება, მხოლოდ ესტრადზე და ცირკში იხმარებიან ზოლმე ასე ორ-სამ კაციან მცირე აკრობატულ კომპოზიციებს (უფრო ახლ უცხო სიტყვის ვითომდა ფეხბურთი ფლერადობის ეშხით, ვიდრე აუცილებელი საჭიროების გამო). ასეა

თუ ისე, ლექსში კი მართლაც ეტიუდურად დაიწყო თავისი იმდღევანდელი გამოხველა: სანამ მოედნის ცენტრს მიადრეკდა, გზადგა ჯერ წველიში წაიმუშავა, მსუბუქად, თითქოსდა ირონიულად, მერე სამეულში, მერე კი „შეუბერა“, მაგრამ რა „შეუბერა!“ მოედნის ცენტრში რვახელა ბუდასავით ხელებ და ფეხებგაჩაჩხული დადგა; სხევისგან ის არაფრით გამოირჩეოდა, არც ზომით, არც კუნთებით, ის კი არა და, მგონია სხეები უფრო ჯანსაღად გამოიყურებოდნენ; ჯერ ორნი შეადგნენ მუხლებზე და აქეთ-იქით, სიმეტრულად, უხალ „თარაზობი“ გა-

იმდენნი იყვნენ, მათი ზუსტი რაოდენობა ამჯერადაც ძნელი დასადგენი გახდა, მაგრამ ერთ მათგანში დანამდვილებით ლექსი შევიცანი; შევიცანი უპირველეს ყოვლისა, სწორედ მისი უფეხქო გარეგნობითა და მიგრძალებული, თინიერი მიხვრა-მოხვრით, და მერე უკვე - მიუხედავად სქელი გრძისა და (პოი, საოცრება!) ტუჩებზე ასე სქლად წასმული პომადისა - მისი ყვრი-მალბეგამოკვეთილი შვეკვრემანი სახითა და, რაც მთავარია, უკეთილესი, განუმეორებელი ღიმილით. პო, ეს ლექსი იყო, ამას წყალი არ გაუვიდოდა, ხოლო იმ ათი თუ თხოუმეტი თუ რა ვიცო

ცხადია, არაფერი გამოძლია და სულ უფრო და უფრო ვიძაბებოდი, აი, ბოლოს ყველაზე მჩატე „ქმაც“ კატასავით სწრაფად მოქცა ამ მრავალსართულიან ნაგებობას თავში და იქ იდეალური ყირა აჭიმა; ლამის დაინგრა ცირკი შეუხარე ტანისაგან, ვიღას ახსოვდა ან სიცოცხე, ან სახლამდე გასავლელი გზის კიდევ არაერთი სხვა გასაკვირი?! ის იყო შევებით უნდა ამომეხსნოთ, ასე მარჯვედ აწვიბილი კომპოზიცია სადაცა ასევე მარჯვედ უნდა დაშლილიყო, რომ ლექსის სახეს მოკვარი თვალი... არ მესამოვნა: გრძის გამო სახის ნამდვილ ფერს რომ

მიაშურეს მას, ორნი მხრებში ამოუდგნენ, დანარჩენები თეჯირით გარსშემოერტყნენ და ასე ციმციმ გაქანეს კულისებში. წითელი ხვერდის ფარდთან წამსვე შეფრავა და დიდბილება კონფერანსიე გამოფრალდა და იხტბარგაუტეხავად გააგრძელა წარმოდგენა.

მე იქ რაღა გამაჩერებდა, გულდათუთქული გაქვანდი კულისებისკენ, იქნებ ჩემმა ნახვამ მარცხის სიმწარე ოღნავ მაინც გაუნელოს-მეთქი; არ მიშვებდნენ და, ვიდრე მაინც შევადლო, ლექსი უკვე გარდაცვლილიყო; რაღაც ხვერდებზე ესვენა და თავზე დასტიროდნენ დაობლებული „ქმები“; როგორც ერთმა მათგანმა მოგვიანებით მამცნო, საბრალოს, თურმე, არენაზევე დაუღვია სული და კულისებში უკვე უსიცოცხლო გამოუყვანიათ; ეს ცირკის ექიმად დამიდასტურა. „ყველაზე მოქნილი ადამიანი მთელ დეკამიონის ზურგზე, გოგონა-კაჟუქი“ ლილი მინდელი, უკვე ჩვეულებრივად ჩაცმული, მაგრამ რატომღაც - სულ შვევში, სხევიან ერთად იდგა აქვე და მწუხარედ დასცქეროდა მიცვალბულს თავისი მშვენიერი, ცრემლით სავსე ცისფერი თვალებით. ახლოდან ეს „გოგონა“ უკვე ჭკნობაშეპარული ქალი გამოვდა, საუკეთესო ჩინური ფაიფურით ლამის გამჭვირვალობამდე სიფიფიფანა, სუსტი და ფერმერთალი; ვერც კი დაიჯერებდა კაცი, რომ სულ ახლახან, არენაზე, ისე ნორჩად და მომხიბლავად გამოიყურებოდა. თუმცა, რაკი სიტყვამ მოიტანა, უნდა ითქვას, რომ მისი ხიბლი მოჩვენებითი არ აღმოჩნდა და ახლოდანაც გულისამაჩქროლებლად მოქმედებდა. იდგა ერთხანს ლილი ასე ჩუმად, მწარედ და გულწრფელად დაღრმავდა, მერე ხმადაბლად ჩაილაპარაკა თავისთვის: ბედნიერება ასეთი სიყვდილი, ნელა გატრიალდა, შვი გვიდვით შეცურდა კულისების ბინდბუნდში და, კვლავ ზღაპრულ ფერიად ქცეული, უხმაურად გაუჩინარდა. უნდა ჰქონდეს გავაყოფო თვალს, მერე კვლავ ლექსის დაჯერდე და... არ მომიჩვენებია: ყვრიმალბეგამოკვეთილ, ვაჟკაცურ საბჭო საოცრად მშვიდი და კეთილი დამილი ფენა; ამჯერად ეს დამილი ნამძვილად მისი იყო; და მომიჩვენა, რომ ლილის ნათქვამი თითქოს ლექსისაც ჩაესმა, თითქოს ისიც იზიარებდა ამ აზრს და, ალბათ, ამიტომაც, თავისი ამ უკანასკნელი „ეტიუდი“ ასეთი კმაყოფილი ჩანდა.

დავით ჯავახიშვილი

# აკრობატული ეპიუდი

ჭიმეს; მერე იმ ორს კიდევ ოთხი დამატა ზემოდან, იმ ოთხს კიდევ ექვსი და... როგორც ყველას, მეც სათვალავი ამერია; სადაც ცაში კიდევ ერთმაც რომ აჭიმა ყირა, ტაშმაც იგრაილა, მაგრამ, როდესაც ლექსში მითიური ატლანტიდით, ვითომდაც აქ არაფერიაო, ფარშეკანის მაროსებრ გაშლილი კუდივით სიგანეში წასული მთელი ეს უზარმაზარი, ცოცხალი ნაგებობა საოცარი სიმსუბუქით დაძრა ადგილიდან და დასაველეთის ტრიბუნისაკენ ნება-ნება „გამოსეირნა“, ტაში ოვაციებდა იქცა და მთელი სტადიონი თავის მიმდებარე უბნებთან დიფისებრისებურად შეაზანზარა...

აი, ეს ყველაფერი გონებამ სულ იმ ათიოდე წამში გაიხსენა, კონფერანსის ბოლო სიტყვებიდან - მშები მჭველურებით, რომ გამოაცხადდა, - არენაზე მათ გამოჩინეს რაც დასტირდა. კი მაგრამ, ლექსი აქ რა შეამია-მეთქი, ჩემს თავს დავკვიტებ, ლექსი ზომ დედისერთა იყო, ეს კარგად მახსოვდა, აქ კი ვიღაც მშები გამოაცხადეს; გვარი, ალბათ, უბრალო დამთხვევა უნდა ყოფილიყო და არაფერი სხვა. მერედა გაეხსენე, რომ ცირკში ასეთი „დანათესავება“ ჩვეულებრივ ამბად ითვლება, იმიტომაცაა ზოლმე აფიშები „მშებით“, „დებით“, „და-მშითა“ თუ „მამა-შვილ-დედა-შვილებით“ გადაჭრელებული; ისე კი, არცთუ იშვიათად, მსახიობთა ნათესაობა და ერთი ოჯახისადმი კუთვნილება სიმართლესაც შეესაბამება. ასე იყო თუ ისე, ამასობაში „მშები მჭველურები“ არენის შუაგულში გამოვლადნენ და მაყურებელს სინქრონულად მიესალმნენ;

რამდენი ბანჯგვლიანი და ზორბა აკრობატიდან რომ არცერთი მისი ძმა არ იყო, არც ამას გაუვიდოდა წყალი, მაგრამ ეს სულაც აღარ მადარდებდა, რადგან მთელი ჩემი ყურადღება ლექსზე იყო მიმართული. ასაკი ჩემი არ იყოს, მასაც დასტყობოდა, ოღონდ - ნაკლებად; თმა მხოლოდ საფეთქლებზე შევერცხლოდა, სახის ნაოჭებიდან კი მხოლოდ შუბლზე დამჩნეოდა სულ ორიოდ; მოკლედ, კარგ ფორმში ჩანდა და, გაეხიარე, აბა, შენ იცი ბიჭო, ერთხელაც ისახელე-მეთქი თავი, ასე ვაქეშებდი და ვამხნევებდი უხმოდ, უფრო კი იმისთვის, რომ რაღაც სიბრაულისმაგვარი საზიზღარი გრძობა, გულის სიდრემში რომ გამოფართალდა, დამეთრუნა და, თუკი შევძლებდი, სულაც იქ ჩამეკლა; ვერ შევძელი და ამან გამოაცხადა; მე თუ ვერ შევძელი ეს, მე, ცირკის მოყვარულმა, სხვას რაღა მოვთხოვო?! ამ უსამიონო განცდისაგან დაძაბული, უნებლიედ სკამის სახელურებს ჩაეჭიდებოდი და ასე ვადვევებდი თვალს გამოცხადებულ „აკრობატულ ეტიუდს“...

მისალმების შემდეგ ლექსში თავის „მშებითან“ ერთად ერთი მოხდენილი უკუ-სალტო „დაარტყა“ და არენის შუაგულში რვახელა ბუდას ქანდაკებასავით გაქვავდა; და დაიწყო და დაიწყო...ჯერ ორი „ქმა“ შეადგა მუხლებზე, მერე - კიდევ ოთხი, მერე კიდევ აღარ ვიცი უკვე რამდენი და გაიმალა პაერში „მშებისგან“ ნაგები არნახული სიგანისა და სიმძლავის „ფარშეკანის კული“... გვეოფა-მეთქი, ბიჭო, გვეოფა-მეთქი, ტელეპატიურად ვცდილობდი ჩამეგონებნა მისთვის, მაგრამ,

ვერ გავარჩევდი, ეს ცხადი იყო, მაგრამ ღიმილი ხომ ვერ მომატყუებდა? ღიმილი არ უფარგოდა, თავისი არ იყო, რაღაც ნაწვალევედ და არაბუნებრივად მოღრეცოდა პომადისაგან ტუჩები. კრიჭა შეკეროდა, ყვრიმალბეგამოკვეთილად დაძაბებოდა და... თავისას მაინც არ იშლიდა; აი, ჯერ მარჯვენა ფეხი გადმოვდა წინ, მერე მარცხენა უკან გადავდა, მერე - კიდევ და კიდევ, ასე დაიწყო ადგილზე შემობრუნება მხრებზე აკიდებული ამოღენა ტვირთით, ერთი მთელი ბრუნი შეასრულა და არ გაჩერდა, მეორე დაიწყო; ეს უკვე მტრისმეტი იყო, კინაღამ ვიყვირე, გაჩერდი-მეთქი, მაგრამ... თურმე ვეღარც მოვაწერებდი: ჯერ მარცხენა ფეხი ჩაიქეცა უცებ, მერე მარჯვენაც კი, მთელი „ნაგებობა“ მართლაც სახლის ნანგრევებით ჩამოექცა თავზე; ბოლმისგან გულგახეთქილს, მომჩვენა, თითქოს ძალიან დიდხანს და ნელა ცვივოდნენ ზემოდან პანტა-პუნტით ლექსის „ცირკისმერი“ მშები; დაწყებული ოვაციები, ამასობაში, უკვე სტყვენასა და სიცილ-ხარხარში გადაზრდილიყო. არ ვიცი, ესეც მჭევენებოდა თუ არა, თითქოს ბოროტი აღტაცებით იჭაჭებოდნენ დიდხანს და პატარებიც. არენაზე კი ყველაფერი ჩვეულებისამებრ სწრაფად დალაგდა, ყველანი უმაღვე ფეხზე იდგნენ და, ვითომ და არაფერი მომხდარაო, რვეერანსებით ცდილობდნენ მწარე მარცხის მიფუჩებებს, ყველანი... ლექსის გარდა. დაჭრილი ხარით ჩაჩოქილი ლექსი წამოღვომას ლამობდა და ვერ დგებოდა, მაგრამ ეს, მგონია, მხოლოდ მე დავინახე, სხვამ ვერავინ შეამჩნია, რადგან „მშებმა“ სწრაფად

# ნოსტალგია წაგვავდასაგარე...

უსлышали музыку. Нет, это был не магнитофон и не пластинка, ни передача по телевизору. Знакомая музыка, знакомый мотив звучал под сводами ГУМа. Мы подошли ближе, туда, где как выяснилось шла презентация электронной - электрической кухонной техники фирмы „Мулинекс“. Трубочка заглашал флейту, а скрипка уж сильно плакала, и я понял, то была наверное Ностальгия по утраченным годам. Стройное звучание этого небольшого джаз-оркестра собрало много зрителей и эта аудитория проникновенно слушала музыкантов.

Но вот в „бой“ вступил ударник и его почерк, его дробь, которую он выбивал на своих фирменных барабанах прошла по мне, словно мороз по коже. Я впился взглядом в человека, исполнявшего соло на ударных инструментах. Уж очень знакомым был почерк ударника, которого я когда-то слышал. И я себя спрашивал где, когда? И вдруг меня осенило. Пробравшись сквозь толпу я подошел совсем близко, и он почувствовал мой взгляд улыбнулся и его улыбка была мне знакома. Смушало лишь обильная седина, хотя и у меня волосы давно поседели. Я узнал его. Это был один из джаза Эдди Рознера. Его почти 15



его красными дорожками из битого кирпича. Что я мог ему сказать? Но лучше правда, хоть горькая, но правда. Увы, сказал я, сада Гофилекта больше нет, ажурную эстраду просто снесли. Чтож, если в Ленинграде один „очень умный“ градоначальник распорядился разрушать гостиницу „Англетер“ (помните Мистера Твистера). Да, недаром говорят: нельзя доверять власть дуракам и уродам. Услышав это Б. Матвеев погрузился, его глаза были печальны. Ведь из этого сада фантазий, звуки джаза Эдди Рознера и сумасшедшая дробь ударных инструментов Бориса Матвеева вечерами были слышны за сотни метров по Плехановской, той самой, которую любили и любят не только Тбилисцы, но и все, кто приезжал в Тбилиси. По Плехановской гуляли герои фильмов „Бродяга“, „Два бигха земли“ Радж Капур, Зитта и др. Но это отдельный разговор. Вернемся в Москву. Теперь настала моя очередь задавать вопросы: откуда новая установка ударных инструментов, ведь я знаю, что старую установку вместе с машиной у тебя украл? Эту дорогостоящую установку подарил один менест, пожелавший остаться неизвестным. Группу приглашают на презентации,

частные мероприятия. Не перевелись любители джаза и мы часто выезжали. Одним словом не бедствуем. Умоляющий взгляд жены вернул меня из так дорогого моему сердцу золотого прошлого в серое настоящее. Да и менеджер фирмы сурого поглядывал на нас, давая понять, что пора играть. Чтож, кто платить, тот и заказывает музыку. Мы попросились сжав руки в мужском рукопожатии. Борис что-то шепнул ребятам, а мне сказал: „Иди, тебя ждут, а подарок от меня ты услышишь сейчас“.

И зазвучала знакомая песня с оригинальной оранжировкой в стиле джаза самого Бориса Матвеева: „В парке Чанр распускаются розы“..., а затем начался его сольный номер. Пока мы шли к выходу, мы слышали барабанную дробь и звук медных тарелок, звучавших в честь нас обоих - меня и Бориса. Мы оба чувствовали, что справляем именины по прошедшим и утраченным годам, по тому золотому времени, когда Плехановская была залита электрическим светом, светом солнца и луны, светом улыбающихся и веселых „Плехановцев“, по тому времени, когда не было государственных границ через каждые 200 километров, когда ни кто не говорил этих ужасных слов: „лицо, Кавказской национальности“.

Слезы стояли у меня в глазах, медленно скатывающиеся по щекам, словно дождь Ностальгии вырвался наружу.

Олег Гиникашвили

Сегодня мы начинаем печатать серию статей и репортажей журналиста с Плехановской, которого многие знают, как коренного тбилисца, спортсмена с большой буквы, вернее, правильнее будет сказать словами „Вечернего Тбилиси“ - И в теннисе бывают самородки. Но об этом мы с вами дорогие читатели узнаем позже в одной из специальной статьи об этом человеке с Плехановской человеке удивительной судьбы, который мог выйти из казальсь бы безвыходных положений. Неизменно одно - Бог и Ангелы его хранили и сейчас они его поводыри в этой жизни. Статья будет называться так: „50 лет спустя“...

**О чем плакала скрипка?**  
Такие уж мы, ветераны Плехановской, ведь когда узнают, что ты „Плехановский“, то перед тобой старожилы снимают шляпу. Ребят „Плехановской“ с 1940 года (стаж почти 60 лет!) помнят многие знают, и в каком городе ты бы не был, всегда кого-то встретишь, будьто в Москве на Арбате, или в Питере на Невском, или в Киеве на Крещатике, или на Дерибасовской в Одессе, или во Львове на знаменитой „строметровке“ (небольшой проспект) место встречи земляков.

Об одной из них я хочу рассказать Вам.

Недавно я был в Москве и вместе с женой зашли в ГУМ. На улице моросил нудный дождь, а тут сухо, чисто, уютно. Походив по отделам мы направились в центр и вдруг





# ბიოგრაფია „ჩვენი ქვეყნის მკვლევარი“

გოგი თოფაძე დაიბადა 1940 წლის 18 აპრილს ქალაქ თბილისში. 1957 წელს დაამთავრა თბილისის 51 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კვებისა და ქიმიის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1962 წელს. 1965-1967 წწ. იყო მოსკოვის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ასპირანტი. 1970 წელს დაიცვა დისერტაცია კვების მრეწველობის პროდუქტების ქიმიურ-ტექნოლოგიურ გამოკვლევებზე.

1970-1975 წწ. დაინიშნა თბილისის საპნის ქარხნის დირექტორად;

1975-1986 წწ. – გადაყვანილ იქნა საწარმოო გაერთიანება „თბილლუდის“ გენერალურ დირექტორად;

1986 წლიდან არის ლილოს ლუდის მშენებარე ქარხნის დირექტორი.

1994 წელს თბილისის №2 ლუდის ქარხნის ბაზაზე ჩამოყალიბდა შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ყაზბეგი“, რომლის გენერალური დირექტორია იგი დღემდე.

1997 წელს გოგი თოფაძე დაასახელეს საქართველოს №1 ბიზნესმენად.

1996 წლიდან გოგი თოფაძე არის საქართველოს სპორტის მამოძრავებელი სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი.

1997 წელს ფრანგ პარტნიორებთან ერთად შეისყიდა ლილოს ლუდის მშენებარე ქარხანა, რომელიც მთლიანად აღიჭურვა უახლესი ტექნოლოგიური მოწყობილობა-დანადგარებით და 1998 წლის ბოლოს შევიდა ექსპლოატაციაში. 1999 წლის დასაწყისში ფირმა „ყაზბეგს“, შეერწყა ლილოს ლუდის ქარხანა და ჩამოყალიბდა კომპანია „ყაზბეგი-კასტელი“, რომლის პრეზიდენტია გოგი თოფაძე. იგი ავტორია 12 სამეცნიერო პუბლიკაციისა და 2 მონოგრაფიის.

ჰყავს მეუღლე – მარინა ბეჟანიშვილი და ორი შვილი – ირაკლი და გიორგი თოფაძეები, რომლებიც მამის გვერდით იღვწიან ფირმაში „ყაზბეგი-კასტელი“.



## ბატონი გოგი თოფაძე ხელს ჰკიდებს მრეწველობის აღორძინების საქმეს

ასეთ დრამატულ სიტუაციაში ქვეყანასა და ხალხს სჭირდება ისეთი პიროვნება, რომელიც შეძლებდეს არსებული მდგომარეობის ობიექტურად განალომბებას და შეფასებას, პატრიოტული, კომპეტენტური, საზოგადოებაში მაღალი ავტორიტეტის მქონე ადამიანების მობილიზებას, შეძლებდეს პრინციპულად და ობიექტურად განსაზღვროს კრიზისიდან გამოსვლის კონკრეტული გზები და საზოგადოებაში ჯერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობის ამოქმედებით ბიძგი მისცენ ქვეყნის აღმავლობას.

მიმაჩნია, რომ ჩემი, როგორც მეწარმის ვალია, საკუთარ თავზე ავიღო პასუხისმგებლობა და სხვა ბიზნესმენებთან ერთად ხელი მოვიკიდო ქვეყნის აღორძინების საქმეს, რადგან არა გვაქვს უფლება განზე გავდგეთ და საერთო საქვეყნო და სახალხო სამსახურში არ დაგხარჯოთ მაქსიმალურად ჩვენი ძალა, უნარი და ენერჯია და ქვეყნის საქმე კვლავ მივანდოთ იმათ, ვინც თავი ვერ ვართთვა ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი ამოცანების გადაჭრას.

ჩემი უპირველესი ორიენტირი – ეროვნული ეკონომიკის, მისი უმთავრესი შემადგენელი ნაწილის –

მრეწველობის განვითარების გზაა ხალხის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

ამიტომაც მხარს ვუჭერ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის, კერძო მრეწველობის ფართოდ განვითარებას; ადამიანის ეკონომიკურ თავისუფლებას, კონკურენციას, სამუშაო ადგილების შექმნას, მაგრამ ვეწინააღმდეგები იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის მსხვერპლი საზოგადოების ყველაზე დაუცველი წევრები ხდებიან.

ჩემი აზრით, მრეწველობის, როგორც ეროვნული მეურნეობის ხერხეჭლის, განვითარება არის ეკონომიკის აღორძინების გადამწყვეტი პირობა და წარმოადგენს საერთო-სახალხო ამოცანას.

მხოლოდ მრეწველობა ქმნის ქვეყნის რეალურ სიმდიდრეს და მატერიალურ საფუძველს ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებისათვის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის აღორძინებისათვის, ქვეყნის ერთიანობისა და სტაბილურობისათვის, რეალური დამოუკიდებლობისათვის.

მრეწველობის გარეშე ქვეყანაში ვერ შეიქმნება ელემენტარული პირობები იმისათვის, რომ ღირსეულად იცხოვროს და იღვწოს მასწავლებელმა თუ ექიმმა, მუშამ თუ მეცნიერმა, ხელოვანმა თუ გლეხმა, პოლიტიკოსმა თუ ჯარისკაცმა, პოლიციელმა თუ სახელმწიფო მოხელემ, ყველა იმ ადამიანმა, რომელსაც სურს ბატონისა შრომით უზრუნველყოს საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა და ამავე დროს პირნათელი იყოს სინდისისა და საზოგადოების წინაშე.

ვაჟა სალუქვაძე



## მეფეთუხნის სარეაქციო საბჭოს წევრები



**მარცხნიდან:**  
გურამ გვეტაძე,  
ნოდარ მედელაშვილი,  
ჭაბუა ამირეჯიბი,  
ვაჟა სალუქვაძე,  
ვანო მამაშვილი,  
მერაბ ანთელავა,  
ნანა ბიბილური

## ღვიძარის დიდების რაიონში ყვითლები:

### ქრონიკა

რაიონში ასფალტის აღდგენითი სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა მარჯანიშვილის ქუჩას თეატრთან და ხიდთან, უზნაძის, ჩხეიძის, დავით აღმაშენებლის,

ქუთაისის, ცაბაძის ქუჩებს და სხვებს.

მარცხენა სანაპიროზე ჩასატარებელია ვ. ბაგრატიონისა და ფოთის ქუჩების აღდგენითი სამუშაოები.

გვერდით გათვალისწინებულია წერეთლის გამზირის, ცაბაძის, თ. მღვდლის, აბასთუმნის ქუჩების ასფალტის საფარის კაპიტალური შეკეთება და სკვერების მოწყობა-გალამაზება.

ბელიაშვილის ქუჩაზე დიდ დიღომში ტროლეიბუსის ხაზის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით გამწვანების სამსახურმა ჩაატარა საგაზაფხულო სამუშაოები. დაირგა ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-ბუჩქები, ყვავი-

ლები და მოეწყო ბალ-სკვერები წერეთლის და რობაქიძის გამზირზე. ნაწილობრივ შეკეთდა „არტოს“ ბაღი და აღმაშენებლის გამზირზე.

უახლოეს დღეებში მარჯანიშვილის ქუჩაზე აღებული იქნება ჯიხურები და მოძრავი დახლები, რაც ართულებს ფეხით მოსიარულეთა

**მარცხნიდან:**  
მზია მალიძე,  
ჯემალ კვანტალიანი,  
სხპლან:  
მარინა შათაშვილი,  
თინა ნაცვლიშვილი,  
ტარიელ ქუთათელაძე

მოძრაობას, შეკეთდება სავალი გზები და ტროტუარები.

გამგებლის მოადგილე ჯონი გურბენაშვილი





# ორი თრეზმირი წიგნიდან: „ჩემი მეფეთაგანი“



საღვრე ძალიძიძე

მწერალი სახლიდან წასვლა, დედამისის ნათესავეებისა და მეზობლების მიტოვება, მაგრამ უფრო მხელია, როცა ქალაქში მომორბედი, სადაც ბავშვობა და სიყრმე გაეტარებოდა.

თბილისი!... ჩემი ფიქრი ახლა მის ერთ პატარა უბანს დასტრიალებს. რა მახსოვს? დედის ალერსიანი გაღივება, ნაძვის ხე, წითელი და ყვანახველა, სკოლა, წიგნები, პირველი სიყვარული და პი-

რველი მწუხარება, რომელმაც წაშალა ზღვარი სიყვარულიდან და იმ ასაკს შორის, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს ბავშვები ქუჩაში „ძიას“ დაეძახებენ... მაგონდება 1941 წელი.

იენისის შუა რიცხვებში სკოლა დაფართოვდა და თანავალსეულები წავედით მარჯანიშვილის ქუჩაზე სურათის გადასაღებად. ფოტოგრაფი დიდხანს გვაწვალდა, ხან ასე დაგვხვდა, ხან ისე, ხან ჩვენი ბოზა არ მოსწონდა, ხან განათება, ამასობაში, ერთი ჩვეთაგანი ქუჩაში გავიდა პაპიროსის საყიდლად (მაშინ უკვე პაპიროსსაც ვეწოდით ზოგიერთები!) და როცა დაბრუნდა, ჩურჩილოთ გვითხრა: „ბჭებო, ომი დაიწყო!“

იმ ფოტოზე შეშინებული თვალები გაქვს ვეწვალა. ჩვენს თვალებში ომის გამოქვეყნებულ ალბეჭდილი... მე მაგონდება თბილისი ომის დღეებში. ქალაქს თითქო სამხედრო ფარაჯი ეცვო: რუხი იყო მთაწმინდის კართები, მახათას მთა და ნათელის მიდამოები. დამით ქალაქი კი არ იშინებდა, კვებოდა, არაფერი ჩანდა უკუნისუნელებში. მხოლოდ ალაყაყებთან ჩაცხვებული მორიგების ჩუმი გადგაპარაკება არღვევდა სიჩუმეს, ან მილიციის სტვენი და ვინმეს გულმოსული შემახილი: „ჩააქრეთ პაპიროსი“.

მე მახსოვს უხილაე თვითმფრინავების გულსწამდები გუგუნი და შუქის ვეებერთელა დაშვებით გადახახული ზეცა. მახსოვს შიშვლი და ლანჩა-აბრობილ ფეხსაცმელში ჩამდგარი სისევე. ახლაც ვრუანტელი მივლის ამის გახსენებაზე... მახსოვს, ქარხნიდან დაბრუნებულს როგორ გამომიწოდა დამოთხად დაკეცილი ქალი. ეს იყო მის დაღუპვის ცნობა... ისიც მახსოვს, როგორ დავამშვიდე ატირებული გოგო, მერე კი, როცა სკოლაში წავიდა, როგორ ავტირდი ლოგინზე პირქვედა-მხოზილი. თვალწინ მიდგა კარის მუხობელი, სომეხი ქალი, რომელიც იმ დროს ოთახში შემოვიდა, თავზე ხელს მისვა-მდა და მაწვარებდა... ბევრი რამ მახსოვს იმ დროს: ჯანგაბეხილი მამის ჩამოსვლა ფრონტიდან, ქარხანაში გათენებული დამეები და ბოლოს, ყველაზე მძაფრი მოგონება: ვამარჯვების დღე, როცა მე და ჩემი ამხანაგები ქუჩაში უცნობებს ვაჩერებდით და ვკოცნიდით! ის ბედნიერი დღე ყველა ტანჯვითა და დანაჯლისთა საზღვარი იყო ჩემთვის.

რატომ ვიგონებ ამას?

მიტომ, რომ ყველაფერი, რაც გამახსენდა, ჩემთან ერთად თბილისსაც გადახდა, იმ დღეებში, და მერეც, ჩემი და თვითველი ჩვენგანის ბედი განუყოფელი იყო თბილისის ბედისაგან. ჩემი თავგადასავალი, ისევე როგორც სხვების, თბილისის მატანიის ერთი ფურცელია და ამ ფურცლის გადაკითხვა არასოდეს არ იქნება შედგენილი...

ამჟამად შორიდან ვეაღერებ თბილისს. და თუ ჩემი მოგონება ნაღვლიანად უღერს, ნუ დამპრაზავთ: მეტი სიყვარულიაგან მომივიდა. სიყვარულსაც თავისი გუნება აქვს: ხან მოიწვევს, ხან მოილხენს...

მე ვხუჭავ თვალებს და ფიქრით ისევ თბილისს ვუბრუნდები... საღამო ხანია. ისფერი ბინდი დასწოლია ქალაქს: მთაწმინდის კალთებს, მტკვრის სანაპიროს, ქუჩებს, მოედნებს, ბაღებს, ეზოებს... „გინახავთ თქვენ ფერი და ბინდულ ქლაქის?“ - ასეთი ბინდა სწორედ, რუსთაველის პროსპექტზე ჩარიგებულ ჭადრებს ბეღურები შესვენან. მომდრღლებით იკვებენ თავიანთ ადგილებს და ლობტარის ნიშნის ელიან, რომ საგალობელი უთხრან თბილისს. „ვორონცივის“ ხილზე ვაჭურად თმაშეკრებული გოგო მიდის. მას ალბათ შზია ჰქვია, ან მანანა, ან ირმა, ან ირინე. ამას მნიშვნელობა არ აქვს! მთავარი ისაა, რომ ქალიშვილი სა-



მთაწმინდა

დაც მიეშურება და მისი სახე ამ საღამოსავით წნარია და უშფოთველი. გოგონა ცოტახნით ხილზე ჩერდება და დასაულებით იხელება. იქ, წყნობის თავზე, ცა ნესვეით ვვითვლია. დრუბელიც არ ჩანს, „ხვალაც კარგი დარი იქნება“, - ფიქრობს ქალიშვილი და გზას განადგობს...

დაე, ყოველთვის ასე იყოს: ცას შეხედოს თბილისის მკვიდრმა და კარგი ამინდი იწინასწარმეტყველოს!

ახლადგაბედილი ბავშვი დაუსახლებელი კუნძულის ბინადარს, რობინზონს ჰგავს, რომელიც თანდათან ეცნობა და ეთვისება მისთვის უცნობ გარემოს.

პირველი ჩემი აღმოჩენა დედა იყო. ამბობენ, მუშეთა ბავშვები ყველაფერს თავდაპირველად ხედავენ. ფერებსაც ვერ არჩევენო: თეთრი შავად ეჩვენებათ, შავი - თეთრად...

არ ვიცი, ასეა თუ არა, მაგრამ დედამ, იმ წუთიდან, რაც დაინახე, ყოველთვის ბუნებრივად გამოიყურებოდა. მართალია, მერე როცა წამოვიხარდე, ბეგრჯერი მინახავს თავდაყირა მდგარი მარტო აღმაინები კი არა, შეხედულებებიც, შავიც ხშირად თეთრად მომჩვენებია, მაგრამ ეს სხვა თემაა... მე იმ დაუსახლებელ კუნძულზე მინდა დაგპარუნოთ, სადაც ცხრათეიანი ქარიშხლის შემდეგ ბედის „მეცხრე ტალღამ“ ცოცხლად და უვნებლად გადაიტარა.

მაგონდება ცალკეული სურათები, დიდი ხნის წინათ ნახული ფილმის კადრებივით:

თბილისი... „ვორონცივის“ მოედანი... „ვორონცივის“ ხიდი... ხილს ქვემოთ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სადაც ახლანდელი კამოს ქუჩა იწყება, ეტლები ჩამწკრივებულან. აქ მათი გაჩერებაა. საღამოა. ნაწილობრივ ქვაფენილი გაქონილივით ბზინავს. მეეტლებს ქუჩის საყელოები აუწვევით და კოფოზე თვლებენ. უფრისწამლებად გაკვირვან გახთვის გამყიდველები: „მუშაა!“, „მუშაა!“... და ისევე სიჩუმე, ისევე სიხვედრე დაისადგურებს. მხოლოდ ჩვენი ფეხისხმა ისმის: „დაგ-ღუბ-დაგ-ღუბ...“ მძიმე და დინჯი - მამისა და „კაკ-კუკ“, „კაკ-კუკ“... მკაფიო და ჩქარი - ჩემი მამა დროდადრო მისაყვედურებს: „გადმოდგი ფეხი, ბიჭო, რას მოჩანწალებს!“... ვინწილაკვს, თოვლნარევი წვიმა სახეში სველ აფთალტს მაყრის, მე ვიჭყანები და ჩვენ შინისკენ მივიჩქარებ, სადაც სითბოა, სინათლეა, სადაც დედა გველოდება...

გაივლის კიდევ ოცი, ოცდაათი წელი და იმ დამის შთაბეჭდილება თავისებურ გამოძახილს ჰპოვებს უკვე დაფაქცეული პოეტის ლექსში:

**წვიმა ევრება სახეს ჭორფლივით, ცრის და არ აცლის დაწვებს გაშრობას...**  
ვინ იცის, იქნებ სწორედ იმ დამით, როცა „ვორონცივის“ ხიდიდან მტკვარს შეხებდებ, პირველად შევამჩნიე, რომ

**ელნათურები სანაპიროდან ვითვალ პერანგებს წყალში ალბობენ...**

ან იქნებ საყვარელი დედის სახეც იქიდან ამოტივტივდა, იმ შორეული წარსულიდან:

**შენ ვე ხელები ჩემთვის დადარე, ნეტავი ბუმუს კვლავ მაწოვადე... და იცი, დედავ, რატივ მახარებს, რომ ისევ შენთან უნდა მოვიდე!**  
ბავშვობის კუნძული!... ეს ის მხარეა,

## ბავშვობის კუნძული

სადაც ლიბონი სიტყვა არავის არ სჯერა, სადაც ჩვეულებრივი, ნაცნობი საგნები ხელახლა უნდა აღმოაჩინო, გაუსინჯო ფერი, გემო, სუნის, შეეხო თითობით, რომლებსაც მეტი მგრძობელობისათვის კანი გადააძრეს და ნერვები გაუშვებულს!... იქ, იმ ბავშვობის კუნძულზე, მთის ფერდობზე შეფენილი ნაძვები იერიშზე გადასულ ჯარისკაცებს გვანან: ჭრიჭინები კი ტოტებზე პაწაწინა მოტოცილებებს დააქროლებენ; ნისლის „თეთრ წვედადში“ შავი ვარსკვლავები ბრწყინავენ, სიჩუმე კი - ჭირისუფალივით, საფლავის ქვაზე ჩამოყვარდა და სასოწარკვეთილი ლოყებს იკაწრავს... ბავშვობის კუნძულზე ყველაფერი მნიშვნელოვანია და საინტერესო. სამშობლო იმდენად პატარაა, რომ ადამიანის გულში ეტყევა:ოთახი, სადაც ცხოვრობ (თეგუნეტის კვადრატული მეტრი!) ისეთ განცდას იწვევს, რომ...

**რა უსასრულო მეგონა ადრე ჩემი ოთახის განი და კიდევ - მის ჭერზე უფრო მაღალი სადმე აღარ მეგონა თუ იყო კიდევ! ცათამბჯენს ჰგავდა ყველა შენობა: სიკვდილს უდრდა წყნა მცირედი, - ქვეყნის თავი და ბოლო მეგონა მამადავითი და მტკვრისპირეთი!**

ბავშვობის კუნძულზე განა მარტო მასშტაბებია შეცვლილი: იქ ადამიანის მისწრაფებაც სხვანაირად ფასდება:

**საგარეუბნო მატარებელში ბავშვმა ვიბიდან გაოფლილ მუჭით ამოაცოცა ჭრელი კენჭები და გულმოდგინედ გადაათვალია... ესაა მთელი მისი სიმდიდრე! მგზავრებო, თქვენში**

**(ნუ გააკვირვებთ!) მასზე მდიდარი - არავინაა!**

ნეტავი იმას, ვისაც თავის დროზე გუნუცდია ასეთი რამ, ვისაც დიდხანს გაჰყოლია ბავშვური უშუალობა და სიწრფელე!

თბილისი... დილით ახალი ხმებით ივისება ქუჩები. ინათებს თუ არა, აყვირდება ჩვენი სახლის წინ წყნითელი ან ტაბახმელელი გლხები: „მარწი - მაღაყო... მარწი - მაღაყო!“... ამ შემახილს ვირის ყროყინიც მოკვებება. ზოგჯერ პირიქით ხდება: ჯერ ვირი და იყროყინებს, მერე „მარწი“, დაიძახებს გამყიდველი. მარწი მაღალყვლიან, კოხტად მოჭიქულ ქილებშია შეედებული და ზევიდან ვაზის ფოთოლი აფენია. ქილები ხურჯინში აწყვია და ვირის უქმყოფილო ყროყინი ალბათ ხურჯინის სიმძიმითა გამოწვეული... ახლა როცა იმ შემაწუნეს ვიგონებ, ასე მგონია, რაც უფრო საწყლად ყროყინებდა პირუტყვი, მით უფრო ხალისიანად გაკვირდა მისი პატრონი.

მემაწუნის ხმას სხვა შემახილი მოსდევს: „ზემლანო ზემლა!“ - უწნაურ, ჩემთვის გაუგებარ სიტყვებს გაიძახის ზურგზე ტომარაგადადებული ქართველი გლხები. დიდხანს მაწვალდება ამ სიტყვების საიდუმლო. დედაქმნა არასდროს უყვინდა ეს „ზემლანო ზემლა“, და ისე ჩაუარეს ჩემს ბავშვობას და გააქრნენ წარსულში ამ იდეალური „ზემლანო ზემლა“ გამყიდველები, ვერ გაგივ: რას ვიფიქრებ, რა უნდოდათ, რისთვის გვაღვიძებდნენ დილაადრიან თავიანთი უცნაური შემახილით; მერე, როცა გაეიხარდა, ყური მოგკარი, როგორ დაიძახა ერთმა ასეთმა გლხმა „ზემლანო ზემლა!“ და მთავრად ქართულად „ყვავილების მიწა“-ო და მაშინ მივხედი, რუსული „ზემლანო ზემლა“ - „ჩერნაზომ-ზემლას“ ნიშნავდა, შავმიწას...

ქუჩა თანდათან იღვიძებდა: იცებოდა მშით, ჩიტების ფლურტულით და ზრუნვის ფერხულში აბამდა დიდს და პატარას...

აი, გაიჯახუნა სადაც სადარბაზო კარმა. მკაფიოდ ისმის ფლაქანზე აჩქარებული ტყაპატყუბი - ეს მეზობლის თმაგაჩქილი გოგო პურზე გააგზავნეს... სულ ცოტა ხნის შემდეგ, ისევ მოისმის ფლოსტების ფლაქუნეი, ამჯერად აუჩქარებული: გოგო შინ ბრუნდება. გადავეყვადები მოაჯირს და ვხედავ: თონის პური უჭირავს ხელში და მადიანად ილუკება. თავი თუ ასწია და შემამჩნია, აუცილებლად დაიჭყანება და ენას გამოიფიფოს...



მთავარი ჯინჯარაბაძე-ძალიძიძე და ბიორბი ძალიძიძე

შვის სხივები პირველად ჩვენს ფანჯრებს მოადგებოდა. მათ შემოქონდათ ოთახში რადიოს დაბრუნება და მოლოდინი. ტრუსის ამარა გავგარდებოდი იოვანზე, რეინის დაგანულ მოაჯირზე ალაგალაგ წუხანდელი წვიმის წვეთები იყო შეგუბებული. მოაჯირის ძლივს ვწვდებოდი, ფეხისწვერებზე ავიწვედი და მოვსვამდი იმ წყალს. მოტკბო სუნი და გემო ჰქონდა. იმის შემდეგ აღარასოდეს არ დამიღვია ისეთი გემოიელი წყალი...

ვიდექი აივანზე ნამძინარევი, პირდაუხანელი და გამოუცნობი მელეკარებით შევეცქერიდი მითი განახახებულ, უკვე პირდაპირი ქვეყნას. ჩვენი აივნიდან კარგად მონანდა მთაწმინდა და მის კალთებზე კამათლებითი მიმოყრილი სახლები. ვაკონის პაწაწინა კოლოფები მილოდადნენ მის მკერდზე, მთა კი ბუმბურაში მეჩვენებოდა, რადგან ზემოთ, მის ქიმზე, სულ პაწაწინა შენობა იდგა ორი, ცას მიბჯენილი წვეტანი კოვით.

ქუჩა თანდათან იღვიძებდა: იცებოდა მშით, ჩიტების ფლურტულით და ზრუნვის ფერხულში აბამდა დიდს და პატარას...

აი, გაიჯახუნა სადაც სადარბაზო კარმა. მკაფიოდ ისმის ფლაქანზე აჩქარებული ტყაპატყუბი - ეს მეზობლის თმაგაჩქილი გოგო პურზე გააგზავნეს... სულ ცოტა ხნის შემდეგ, ისევ მოისმის ფლოსტების ფლაქუნეი, ამჯერად აუჩქარებული: გოგო შინ ბრუნდება. გადავეყვადები მოაჯირს და ვხედავ: თონის პური უჭირავს ხელში და მადიანად ილუკება. თავი თუ ასწია და შემამჩნია, აუცილებლად დაიჭყანება და ენას გამოიფიფოს...

ქვეყნილზე ბორბლების რაზრახსა და ფლოქების მწვობარ მაჯისცემას ზარის ხმა აყვება: „კერასნი! კერასნი!“ - ყვირის ნათის... გამყიდველი. მერე ზარის

ხმა წყდება და სრულ სიჩუმეში მხოლოდ რეინის ბილირების ვაყვავი, ონკანიდან მოთქრიალე ნათის ჩხრაილი და ქალების ყაყინი ისმის. ხანმოკლე პაუზებში გამაყრუებლად ვითვივებენ ბეღურები...

„სტარია ადოქ! სტარია ვეშ პაკუ-პაქ!“ - გაზარული ბარიტონით, ერთხელ და სამუდამოდ დასწავლილ ჰანგზე წამიღერებს კოკლი მეტეულმანე. ილიაში ამოჩრილი ტომრით დინჯად მიჰყვება ქუჩას, დროდადრო ჩერდება, სართულებსა და აივნებს ათვალიერებს. არც ერთ ქვოს არ დატოვებს, ყველა ალაყაფში შეიხედავს და ონდავ სევიანი, გაზარული ხმით წამოიწვევს თავის ნაღვლიან სიმღერას...

„სტიოკლა ვსტავლიატ! სტიოკლა ვსტავლიატ!“ - რიხიანად, თითქოს სამხედრო ბრძანებას იძლეოდეს, გაკვირის ახმახი რუსი მეშუმე, მხრებზე შედგებული ხის ყუთით, რომელშიც სხვადასხვა ზომის შუშები აწყვია. მზე თვალისმოძრე

ლადა ბრწყინავს შუშებზე, მეშუმე მიჰყვება ქუჩას და მეჩვენება, თითქოს მის ყოველ დამახილზე საეჭვოდ ხანხარებენ ჩვენი ფანჯრის მინები (განგებ ხომ არა ყვირის ასე ხმაშალდა, ეგ დალოცვილი?!).

„ტაიტ ნაფი-ნოფიცი! ტაიტ ნაფი-ნოფიცი!“ - ბანს აძღვებს შუშების ჩამსმეღს დაწების მღვსავი.

„სამოვარნი პესო! სამოვარნი პესო!“ - ნეტა, ვის რაში სჭირდება ეს „სამოვარნი პესო?“ - გაკვირებული ვეკითხებოდი ჩემს თავს.

და ისევ: ყოველად გაუგებარი შემახილი - „სენც ვან-ვანოლი! სენც-ვან-ვანოლი!“, რაც ადამიანურ ენაზე კოფრების წამალს, „სრედსტეო ოტ მოროლი“-ს ნიშნავს... (დღევანდელი, ღმერთო, მიდი და გაიგე!).

ჩვენი ქუჩის კუთხით მკერტზე მუშების ბირგაა. ზედ ტროტუარზე ჩამომსხდარან აისორი მეკურტებები და მზეს ეფიცებებიან. ზოგჯერ შაშის თამაშით თავს იქცევენ: ფლაქანზე ცარცით „დაფას“-ბათხავენ, ერთი მოთამაშე თეთრი კენჭებით, მეორე - აგურის ნატეხებით თამაშობს. შაშისთვისაც ხომ თეთრი და წითელი კოჭებია საჭირო!... მუშებს მთელი დღე შეუძლიათ უსაქმოდ ჯდომა, იქამდე, სანამ ვინმე არ დაიძახებს: „მუშაო!“, მაშინ, გაყვარდეს, ფეთიანებივით წამოკვივლებიან და ერთმანეთის ხელისკვრითა და კურტების ქნვეით მუშტარს მიაშურებენ. თან ისეთ ყაყინს ასტეხენ, მეორედ მოსვლა გვეგონება! კიდევ კარგი, თუ „კლინტს“ პიანინო ან როიალი აქვს გადასახიდი, - ამ საქმეს ექვსი კაცი სჭირდება და მუშები როგორმე მორიგდებიან. უფრო ხშირად კი ასე ხდება: ერთ მუშას გაუდებენ კურტანზე განჯინას ან ძველებურ, რეინის სალტებოთ მოჭვილი „ზანდკეს“ და მიბაიჯებს ოთხად მიკეცილი, ოფლად გაღვრილი კაცი, რეპინის ბურლაკივით მკერდზე და ნიკაპე-ბექემ ამოდებული ტყავის თასმებით, რომლებშიც კურტანზე ტვირთია დამკრეწებული. შორიალო კი, ვიბეში ხელგანაწყობილი ტვირთის პატრონი მოსიკრობს არხინად. პაპიროსს აბოლებს, თან გზას ასწავლის მეკურტნეს: აქეთ გაუხუჯე! იქით წადი! ნელა, კედელს არ წამოელოო!...

ყველაფერი ეს - ბავშვის თვალთ დასახული სინამდვილეა, ოდესღაც რომ დაილეკა მესხიერების ფსკერზე და შემდეგ დაიწვებას მიეცა. საგანგებოდ არასოდეს არ უფიქრია კაცს ამაზე და მაინც იქიდან, იმდროინდელი თბილისიდანა წამოსული ეს სურათიც

**ქვა რომ შევადო მაღლა პაერში, დაიწკარუნებს მინა გამტყდარი! და ეს აღსარებაც: მინდა გამდრო ქვა, მინდა გიწოდო „ჩემო“ - ვერ დამავიწყებს წლებმა შენი პაერის გემო, შენი მთაწმინდის კალთა, გადასახედი წყნეთის, შენი კუპია, სადაც დამჩნა საფლავი დედის... გავტყვება შემდეგ ნომერში**



# ჩვენი სახლი, ჩვენი ქუჩა, ჩვენი სკოლა, ჩვენი უბანი, ჩვენი თბილისი



რამაზ ლაშვილი

რამაზ ლაშვილი - ეს სახელი ყველა ჩვენთვის ახლობელია. არ მგულებს საქართველოში ადამიანი, რომ არ იცოდეს და არ უყვარდეს ლაშვილის მუსიკა, მისი შემოქმედება. „მეფეთუნელები“ ვაძაგობთ ლაშვილით, რადგან ისიც ამ უბნელი იყო, ცხოვრობდა და იზრდებოდა აბასთუმის ქუჩაზე, „დღევანდელი“ ბაზრის წინ - 1921 წლიდან.

რამაზ ლაშვილი უამრავი წერილი, ნარკვევი, წიგნი დაწერა, სადაც გაშუქებულია მისი შემოქმედება და ნიჭიერება, ცნობილ ადამიანებთან ურთიერთობები და სხვა; მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი მისი ბავშვობისა და ყრმობის წლები, თავს გადახედული კურორტები და ცხოვრებისეული ეპიზოდები. ამიტომ მოვიხსნა რამაზ ლაშვილის ბიძაშვილი და თანამეზობელი, თბილისის მუსიკალური კომპოზიტორის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, სამი შვილიშვილისა და (ორი ქალიშვილიდან) რვა შვილთაშვილის ბებია, ულამაზესი ქალბატონი ნინო ლაშვილი, რომელიც დღესაც წარმატებით მოღვაწეობს თეატრში. აი, რა მოგვითხროს ქალბატონმა ნინომ:

„რეზოს მშობლები, ბაღდათის რაიონის სოფელ პირველი ოზიდან იყვნენ, რომლებიც 1920 წელს თბილისში გადავიდნენ საცხოვრებლად. მამა - ილია ლაშვილი, ამირკაცკასის რეინიჭის სამმართველოში მუშაობდა წლების განმავლობაში მთავარ ბუღალტრად. დედა - ლუბა ვაფარაძე იყო დიასახლისი, დიდი მუსიკალური სმენით დაჯილდოებული ქალბატონი, რომელიც ბრწყინვალედ უკრავდა გიტარაზე და კარგად მღეროდა. ლაშვილებიც მოქიფი, მოძღვნი - მოძღვრალი გვარისშვილები იყვნენ. ასე რომ, რეზოში, ორივე მხრიდან მუსიკალური გენი იყო.

1921 წლის ზაფხულის ერთ-ერთ ცხელ დღეს, 10 ივლისს, ბაღდათში დასასვენებლად ჩასულ ილიას შეუძინა ვაჟი, რომელსაც რეზო დარქვეს. მშობიარობა მიიღო ცნობილმა ქართველმა ექიმმა, პროფესორმა ნიკოლოზ კახიანმა. რეზო „ჭიკარაშვილები“ დაიბადა. მისი ბებია განიცდიდა, ბავშვი ხომ არ დაზარდა და სამშობიარო ტრავმა არ დარჩენილა. პროფესორ ნიკოლოზ კახიანს დაუმშვიდებია შემინებული ბებია და უთქვამს:

„ნუ გეშინიათ, ქალბატონო, ეს ახალდაბადებული იმერელი, ქართველების სამაყო ბიჭი იქნებაო. ასე აგიხდით ყველაფერი.

ბაღდათში დაბადებული რეზო, შემოდგომაზე თბილისში წაიყვანეს. თბილისში ცხოვრობდა და სწავლობდა. მან დაამთავრა მე-2-ე მუსიკალური სასწავლებელი ვიოლინოს განხრით, და როგორც ნიჭი-

ერი მოსწავლე, ჩაირიცხა თბილისის კონსერვატორიაში ანდრია ბალანჩიშვილის კლასში.

ბავშვობაში, როგორც კი საზაფხულო არდადეგები იწყებოდა, რეზო მეორე დღესვე ოზაში იყო ჩამოსული, სივრცულად უყვარდა სოფელი. ძალიან ცელქი და მოუსვენარი ბავშვი იყო, მაგრამ ძალზე

## „თბილისი“

კეთილი, ადამიანების მოყვარული, გონებაგახსნილი და დიდი ოუმორით დაჯილდოებული. რეზოს სოფელში ჩამოსვლით ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სოფლის მონოტონური, ყოველდღიური ცხოვრების წესი, დამეტრალურად იცვლებოდა. რეზოს ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა, დაჰმადა სპექტაკლებს, იყო სიცილი, კისკისი.

სოფელში უამრავი ბიძაშვილ-მამიდა-შვილები ვიყავით, ყველას გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ მე, რეზო და ზალიყო დედადამ ერთად ვიყავით. რეზოს ბავშვობიდან უყვარდა თევზაობა და ნაღობობა, დაედოდი პატარა მდინარე - ლუხუტაზე სათევზაოდ და საბანაოდ. რეზო დაჭერილი თევზით გვამარაგებდა. „ლაგატი“ ხოცავდა ბელურებს და შაშვებს და თანაბრად გვიჩაწილებდა ყველას.

12-13 წლის ბავშვები ვდგამდით სპექტაკლებს, რა თქმა უნდა, მთავარი რეჟისორი და „ადმინისტრატორი“ რეზო იყო. ერთხელ დაგვგით შარდ პეროს ზღაპარი, „წითელქუდა“. მე ძალიან მიხდოდა, მეთამაშა წითელქუდას როლი, მაგრამ რეზო გაჯიუტდა, არ მომცა ეს როლი; დაიწყო ტირილი, იმედი დედაჩემთან და ვუთხარი ყველაფერი. დედა წამომეყარა რეზოსთან „თეატრში“, რომელიც ჩვენი ბიძაშვილის ზალიყოს ეზოში, ბოსკელთან იყო ჩვენი ხელით ხის ტოტებისაგან „აგებული“. და სიცილით სთხოვა - რეზო, რატომ ატირებ ამ ბავშვს? ნინოს რა როლიც უნდა, ის ათამაშეო. რეზოს მოერიდა მაკრინე ბიკოლასი და... „წითელქუდა“ ვითამაშე, როგორც მამიდადელი ოზის „პრესა“ აღნიშნავდა, საყმაოდ წარმატებით. მას შემდეგ რეზო ყოველთვის მთავარ როლებში მეთამაშებდა. ალბათ აქედან ჩაყვარა საფუძველი ჩემს თეატრში მოღვაწეობას.

შემდგომში, როდესაც თბილისის მუსიკალური კომედიის მსახიობი გახვდი, რეზო ხშირად დადიოდა ჩვენთან - თეატრში, არცერთ პრემიერას არ ტოვებდა, სადაც მე ვმონაწილეობდი. მე მაშინდა მივხვდი, რომ რეზომ როგორც იქნა, „მადიარა“ მსახიობად, ერთხელ ვითამაშობ სპექტაკლში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ერთ-ერთ მთავარ როლს - ტასიკოს. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ საგრიმბოროში შემოვიდა გახარებული რეზო, მომლოცა გამარჯვება, შეაქო ჩემი ყოვლი და ღიმილით მითხრა: - გოგო, დაიბახსოვე, თუ თეატრის რეჟისორები სპექტაკლებში კარგ როლებს არ მოკრებენ, დედაშენი, მაკრინე ბიკოლა მიუყვანე და შევ დღეს დაიწყებო. მაინც გადამიხდა „სამაგიერო“ ოზაში როლების განაწილებაზე დასმენისათვის. ყველამ გულიანად, დიდხანს ვიცინეთ.

რეზოს ძალიან უყვარდა სოფლის სადამოები, განსაკუთრებით მთავარიანი ღამეები, როცა მათ შუქზე ვიგნასა კი წაიფითხავდი. სად იყო მამინ „ილინის“ ნათურები. მთავარის შუქზე, უფროსებთან ერთად დაესხებოდით და ვყვებოდით უამრავ საინტერესო მოგონილ და გაგონილ

ამბებს, უფროსები ყველგონდნენ ანგლოტებს, იყო სიცილი, ოუმორი, სიმღერები. რეზო დიდი გულსიყვრით უსმენდა უფროსებს და ყველაფერს კარგად იმახსოვრებდა.

სოფელში ლაღბები ბევრი ვიყავით, ერთი ფუძიდან განაყოფები, ამიტომ ბიცილებიც მრავალდ გვყავდა. მათ შორის, მე, რეზოსა და ზალიყოს გამორჩეულად ლეონინა ბიცილი გვიყვარდა, კეთილი, სთონი, ბავშვების მოყვარული ადამიანი. ერთხელ, ზალიყოს ეზოში ვითამაშობთ, ამ

დროს მოვიდა ვერიკა ბიცილასთან ზალიყოს დედასთან ლეონინა და ტყე სთხოვა. - ვერიკა, ხვალ სვირში მივდივარ ბაზარზე და „კუპრიელი“ (ე. ი. ტყე - იმერულად) მათხოვეო, ღვინო მაქვს გასაყიდო. ვერიკა ბიცილი ცოტა ხელმოჭერილი ქალი იყო და არ უყვარდა

## კუპრი

რაიმე ნივთის თხოვება. - არა ლეონინა, ვერ გათხოვებ კუპრიელს, შენი ამავე რომ ვიცი, გამიხიოქვე გზაში და გამიფუჭებო. - ცივი უარი სტყოდა თავის რძალს. ლეონინე შეწუხდა, მაგრამ არ შეიძინა. ის იყო, სახლში უნდა წასულიყო, რომ უცერად რეზომ უყვარა ვერიკა ბიცილას: - რა არის, ბიცილი, რა საღი-სტივით იქცევი, რა მოგივიდა, ათხოვე, ეს ოხერი კუპრიელი ლეონინას, შეგიჭამს?! ვერიკა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, რეზო ძალიან უყვარდა და მისი დიდი ხათრით ჰქონდა, ამ დროს ზალიყომაც შეუჩინა დედამისს, საღი-სტი ხარო - მიაძახა. რა ექნა ვერიკას



მამობრული შარში მსატარარი X. კანტალიანი

და გაატანა კუპრიელი ლეონინეს. მესამე დღეს გამოჩნდა კუპრიელი ხელში ლეონინე, მოდიოდა თავჩაკეცილი, დარცხვნილი, შეწუხებული. მოკლედ, ძლიერ მოლასდასებდა. ვერიკამ გუჟინით იგონო, რომ მის თავზე „დიდი უბედურება“ უნდა დატრიალებულიყო. - არ იყო, ლეონინა, დამღუპე, ხოო... - მიაძახა აკანკლებული ხმით, - ვერიკამ.

- ხოო... ვერიკა, ხოო... გზაში მართლა გამიხვდა კუპრიელი და დამწო ლეონინამ ტირილი. რეზო, ზალიყო და მე სიცილით ვიგუდობდით, ამის შემყურე.

ვერიკამ დაამთავრა მოთქმა და გაბრაზებულმა შეხედა რეზოს და ზალიყოს: - ააა... ბოშო... თუ არ ათხოვებ რამეს, ეს ლაწირაკები - დესანტი ხარო, მოგამხებენ და „სკლუბოიო, ათხოვებ და გახეითილს, გაფუჭებულს მოგიტანენ. მე, ახლაც დესანტი ვარ?! - იგივე ვერიკამ. რეზო და ზალიყო სიცილით მიწაზე გორავდნენ. ვერიკას საღისტ-დესანტში არეგია, ხოლო ტუნწი - „სკლუბოიო“. რაო, ბიცილი, ვერ გავიგე ვინა ხარო? - ეკითხებოდა სიცილით რეზო, „დესანტი, დესანტი“ - თქვე სასიკვდილოდ, - კიოდა ვერიკა. ამ ეპიზოდს რეზო მთელი ცხოვრება იგონებდა.

ზაფხულბობით, სოფელში ჩამოსული რეზო საქველმოქმედო საღამოებს აწყობდა. ოზაში, შეიფერებოდა რამდენიმე ოჯახი და ერთ-ერთს ეზოში „ვაშშიან საღამოებს“ მართავდნენ. ამით ესარგებლობდით ჩვენც და იქვე, ეზოში სპექტაკლებს ვდგამდით. შემოწირულობით სოფლის სკოლას, ბიბლიოთეკას ვეხმარებოდით. ამ დროს იდგმებოდა სპექტაკლები რეზოს „რეჟისორობით“ „ირინეს ბედნიერება“, ა. წერეთლის „ინტო“ და სხვა.

გაფრინდნენ წლები, წამოვიზარდეთ. ზალიყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, რა თქმა უნდა, ბინად, რეზოსთან ცხოვრობდა. იდგა 1942

## მეფეთუნელი იყო

წელი, ომი, გაჭირვება, შიმშილი. ერთ მშვენიერ დღეს, რეზოს და ზალიყოს ვერიკა ბიცილი ესტუმრა - ღვინით დატვირთული. ბიჭების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, - გეჟიფიფა... იბახდნენ ხანარბული, მაგრამ მათი სიხარული განმრულებ ადმოჩნდა. ერთ ბოთლსაც ვერ დაღვეთ, ღვინო უნდა გავეყოლო, - დემონსტრაციულად განუცხადა ვერიკამ.

მეორე დღეს, „დღევანდელი“ ბაზარში ვერიკა ღვინოს ჰყიდდა. ბაზრიდან მობრუნებული, დაღლილი ვერიკა გაუხვდელი, ტახტზე მიწვევოდა და მკვდარვით ჩაეძინებოდა. რა თქმა უნდა, ნაჭერ ფულს სადღაც მალავდა. ბიჭებს კაპიკს არ აძლევდა. არა და, ორივეს უყვარდათ თეატრი, კინო, ბილეთისათვის კი ფული არ გააჩნდათ. ერთ დღეს ზალიყოს „ბრწყინვალე“ აზრი დაებადა. ბაზრად მოსული ვერიკასათვის ცოტა ფული მოეპარათ, თეატრში შესასვლელი ბილეთების შესაძენად.

გახსრევს მძინარე ვერიკა, მაგრამ ფულის ასაყალ-დასაყალს ვერ მიაგნეს. ბოლოს „ჩულებში“ მოუხსრივეს და ფულსაც მიაგნეს. ჩულების გახდა ზალიყო - მისმა შვილმა „იყისრა“. ის იყო, უკვე ხელი უნდა შეხებოდნენ სანუკვარ ფულს, რომ ვერიკამ გაიღვიძა. ვაი, შენ ბიჭებს, სად წავიდნენ, გაღაწყვებეს, „ქურდობა“ „ბანდიტიზმი“ შეეცვალათ. რეზოს ბიცილიმის აფრთხილებული ფეხები უკავია, ზალიყო კი „ჩულებში“ ჩაჭიდებული - ფულს ეძებს. შემოახვიეს ბიცილას „ჩულებში“, ამოიღეს ბილეთებისათვის საჭირო ფული, დანარჩენი - მაგიდაზე დავარდა და გაიქცენ - მარჯანიშვილის თეატრში. ვერიკას წვივდ-კვივდზე შემოვირდნენ ოთახში რეზოს მშობლები, როდესაც გაუკრუნეს სიტუაციაში - სიცილი აუტყდათ, დაამშვიდეს ვერიკა.

თეატრიდან სახლში მობრუნებული ბიჭები გაოცდნენ, როდესაც მაგიდაზე და-

ლაკებული ვერიკას მიერ ნავაჭრი ფული დაინახეს. ვერიკამ ღიმილით შეხედა ბიჭებს და უთხრა: - აგერაა, ბოშო ფული, როცა დაგჭირდეთ, ედეთ რამდენიც გინდათ, ოღონდ „ჩულებში“ აღარ დამიხიოთ. ეს იყო რეზოს მიერ ახალგაზრდობაში „ჩადენილი“ პირველი და უკანასკნელი ქურდობა. ამ ამბავს რეზო მთელი პევევობა.

რეზო ბუნების დიდი ტრფიალი იყო. თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული. განსაკუთრებით, მაინც იმერეთი უყვარდა. ერთხელ, თეატრში მოსული რეზო, როგორც ყოველთვის, შემოვიდა



ნინო ლაშვილი

## საგრიმბოროში, ვი-საუბრეთ აქეთურ-ქეთურზე

საგრიმბოროში, ვი-საუბრეთ აქეთურ-ქეთურზე. უცერად შეწვიტა საუბარი, ჩაფიქრდა და პატარა პაუზის შემდეგ, მითხრა: - გოგო, დაკარგვებხარ, ჩვენთან, რომ მოდებხარ და გზაზე შეგხვდება ურმით მოწვავი ზემო იმერელი გლეხი, მოგხინდის ქულს და გეტყობს - კაი გამარჯობა, ჩემო ბატონო, კაი გამარჯობა... როგორ ბრძანდები... სულ არ ვიცნობს ის კაცი, ვინ ხარ, რა მოხეუ, მაგრამ მაინც ასე შეგხვდება. აი, ის დიდი კულტურა, რაც დასავლეთის ხალხს გააჩნია - ოდიოგანე. ამისათვის არ არის ორი უმაღლესის დამთავრება საჭირო, ეს სისხლში უნდა გქონდეს - ჩემო ნინეო.

რეზოს ძალიან უყვარდა ნადირობა, თევზაობა. ჩვენი შეხვედრების დროს ყოველთვის მისიარება თავის გულის წოდებს: - იცი, ნინო, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მიხედვით რა ტემპერატურის წყაროებია, სულ ზეზირად ვიციო. ფეხით ჰქონდა შემოვლილი თითქმის მთელი საქართველო. სწორედ აქ, მთაში, მდინარეებსა და მინდვრებში იბადებოდა მისი უკვდავი მელოდები, ძლიერ ქართულ ფესვებზე აღმოცენებული. მისი ვეველა სიმღერა - ქართული ჰიმნი და საგალობელია. მე, ასე ვთქვით, მიყვარებოდა არ ჩამოთვალეთ, ბატონო ჯემალ, მაგრამ რეზოს სადარი ადამიანი, ალბათ, საუკუნეში ერთი იბადება, - ეს ჩემი პირადი აზრია, არავის არ ვახვევ თავს, - ბრძანა ქალბატონმა ნინომ და თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

ქალბატონ ნინოს დიდი მადლობა მოვხსენე ამ ღამეში მოგონებებისათვის; მე კი, შეძლებისდაგვარად ვცადე, უკლავილად გავმოქცე ქალბატონი ნინოს მიერ, რეზო ლაღბისთან ერთად გატარებული ბავშვობის წლების ეპიზოდები. მწამს, რომ რეზოს ლაღბის თავჯანსიცილები, ასევე „მეფეთუნელები“ სიამოვნებით გაეცნობიან და წაიფითხავენ ამ ნარკვევს.

რამაზ კანტალიანი



## მამა ქაჩიძე ფაღვანითა

მისი დიდებისათვის მართო ვახტანგ ბალაგაძის სახელიც იქნებოდა საკმარისი...

მაგრამ ბატონ მხეილ თიანაძეს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, საკავშირო კატეგორიის მსახურს, რესპუბლიკის თავისუფალი სტილის ნაკრების ვენდის უფროს მწვრთნელს, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კაიფდრის

უფროს მასწავლებელს, უმაღლესი დაოსტატების ჭიდაობის სპეციალიზირებული რესპუბლიკური სკოლის დირექტორს მხეილ თიანაძეს კიდევ მრავალი სახელოვანი ფალავანი ჰყავს გაზრდილი. საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონები ვარლამ გივიცაძე და ანდრო ჭელიძე. სპარტაკ ქარსაულიძე და ვლადიმერ არსენიანი, ტარიელ აღბეგაშვილი, საკავშირო ჩემპიონატების პრისიორები და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები ზურაბ დენტოშვილი, ვალერიან ბათლიძე, გიორგი ვსირი-

შვილი და უმანგი ბარნაბიშვილი, ალექსანდრე მაისურაძე, დავით ჩაჩანიძე და... კიდევ 200-მდე სპორტის ოსტატი. მ. თიანაძის ყოფილი მოწაფეები საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქებში მოღვაწეობდნენ, სადაც ისინი ნასწავლ-ნაოფლარს თავის მხრივ ახალგაზრდა ფალავნებს გადასცემდნენ. მადლიერების გრძნობით იხსენიებდნენ მხეილ თიანაძისაგან მიღებულ საქმიან რჩევა-დარიგებებს ცნობილი მოჭიდავეები - თბილი-

სელი ანზორ კიკნაძე, ერეკლე ნორიე მუშელიანი და ლენინგრადელი ბორის პრუტკოვსკი, რომლებიც ამაგდარ მწვრთნელს სიყვარულით, „მამობილს“ ეძახდნენ. ... რას იფიქრებდა პატარა გამხდარი მაკავანეთელი ბიჭუნა - ყოფილი ოსურგეთის მასწავლის სოფლის საუკეთესო ლელობურთელი და ლახტის შეუდარებელი მოთამაშე, რომ შემდეგში ტყავის ბურთის და ზურგისმწველ ქაშარს ძალოსნობის ფიცარნაგზე და საჭიდაო ხალიჩაზე შეეცვლიდა, სადაც ჭეშმარიტ დიდოსტატობასა და საყოველთაო აღიარებას მიღწევდა.

ზინარ ხალაშვილი



# ჩვენი სახლი, ჩვენი ქუჩა, ჩვენი სკოლა, ჩვენი უბანი, ჩვენი თბილისი



კახეთი, ტკბილი კახეთი. ულამაზესი ალაზნის ველთა და უაღრესად მშვენიერი ზღვრებით, მტკიცეული ისტორიით და გმირული წარსულით. მის მიწაზე იყოფილი ადამიანის ფუძის მშვენიერებით და ფიქრთა უბორო თარეშის მტვერ ალავერდით და სხვა კიდევ ბევრი ისტორიული ადგილებით, რომლებიც მოწვევნილია მისი ტერიტორია. ამ ბარაქთან მიწაზე დაიბრუნა დიდებულთა აკანი: ილია ჭავჭავაძე, გიორგი (გოგლა) ლეონიძე, ზურაბ ავალიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, იროდიონ კვიციანი. პროფესორები: ივანე ბერიტაშვილი, მიხეილ წინამძღვრისძვილი: ავლია ზურაბაშვილი, ალექსანდრე გიორგიშვილი, ნიკოლოზ ჯანდიერი, თედო ბეგიაშვილი. ხელოვნების დარგში მოღვაწეები: ნიკო (ნიკალა) ფიროსმანაშვილი, ნატო ვაჩნაძე, ვალერიან გუგია, ნიკო სულხანიშვილი, ვასო გობიაშვილი, ანნა ვარდიანი, სანდრო ინაშვილი, ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ახმეტელი, კოტე მარჯანიშვილი, გურამ რეულიშვილი და კიდევ სხვა დანარჩენი, ვინც დღეს ვერ მოვიხსენიებ.

ისტორიულმა ავბედობამ ავალიშვილთა გვარის ნაწილი გადმოხვეწა და ჩაასახლა სოფელ ჩუშტაში, სადაც 1884 წელს, გრიგოლ ავალიშვილის ოჯახში, დაიბადა ვაჟი გიორგი ავალიშვილი. ამ ისტორიულმა გვარმა და მისმა წარმომავლობამ კეთილსინდისიერად და უღალატოდ ემსახურა სამშობლოს, თავის ხალხს. საკმარისია დაგასახელოთ გიორგი ავალიშვილის ბიძაშვილის ზურაბ ავალიშვილის სახელი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდის პრესაში ბევრი რამ დაიწერა, მაინც ზურაბ ავალიშვილის ფენომენის შესწავლა მეცნიერთა მომავლის საქმედ მიმაჩნია.

1913 წელს გიორგი ამთავრებს ხარკოვის საექიმო უმაღლეს სასწავლებელს და ბრუნდება კახეთში, იგი ექიმის თანამდებობაზე იწვევება ყვარელში, სადაც ხსნის საავადმყოფოს. 1929 წელს ქალაქ სიღნაღში, ველისციხეში და თელავში დააარსებს რენტგენის კაბინეტებს. თელავში ბატონი გიორგი ინიშნება საავადმყოფოს გამგედ. აქ იგი

ემსახურებოდა როგორც ქალაქს, ასევე შემოგარენ სოფლებს. მიუხედავად იმისა, რომ 1925 წლიდან ბატონი გიორგი ოჯახითურთ გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად, ურთიერთობა, ყურადღება და პატივითა არ მოუკლია საყვარელი კახეთისათვის. იგი ყოველ წელს მონაწილეობდა თელავის მედიკოსთა სანიტარული შრომის საქმიანობაში და ყოველწლიურად ირჩევდნენ მას გამგეობის შემადგენლობაში.

ელენე თუხარულმა და გიორგი ავალიშვილმა ჯვარი დაიწერეს თბილისში დიდუბის ეკლესიაში. მოგროვილი ხალხი ელოდა ცერემონიის დაწყებას. ამ დროს ჩამოიარა კინტომ და იეთხა „აქ რა ამბავიაო“ მას მიუთითეს ნეფე-

## „საფლავის მგვირიც მზას უმღერებს“

პატარაძლზე. მათი სილამაზით მოხიბლულმა კინტომ თავი ვერ შეიკავა და შესძახა „ვა, ლამაზი კუკლები ქორწინებას გაუშარვოსო“. ბედნიერი წყვილი გაემგზავრა ხარკოვში. ქალაქში სიერობისას გაჩერებულან ფოტო-ატელიეს ვიტრინასთან. ელენეს სილამაზით მოხიბლული ფოტოგრაფი გამოარჩინდა ყვირით „Малона, она Малона“. ბატონი გიორგი მიუბრუნდა და უპასუხა: „Вы ошибайтесь мой дорогой, она мая прекрасная Елена“. ასე შემორჩა ამ ოჯახის შთამომავლობას ულამაზესი წყვილის სიყვარულის დასტური და დღესაც იგი ოჯახის მშვენიება.

კახეთში ყოფნის დროს ერთი საინტერესო შემთხვევა მოხდა. ერთ დღეს, გვიან ღამით კარის კაკუნი გაისმა. ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამოაზრემ მოაუთხა ექიმს. ისინი ტყეში გახიზნულნი იმალებოდნენ. ხმალობის დროს ერთმა მეთორს ცხვირი წაათალა. უღრან ტყეში, ღამე, ბატონმა გიორგიმ მონახინა ცხვირი და ასეთ არასტერილურ პირობებში გაეკეთა პლასტიკური ოპერაცია, რომელიც შედეგადად დამთავრდა. ყოველგვარი გართულების გარეშე ცხვირი შექმარდა სახეს შესანიშნავად, მხოლოდ ოდნავი თეთრი რეალი იყო მის გარშემო. სამწუხაროდ, პაკიენტის გვარი არ მახსოვს, მაგრამ თეთონ პირადედ ენახე, რადგან გვესტუმრა ოჯახში, ბატონი გიორგი აღარ იყო ცოცხალი. ბატონი გიორგი ხმარობდა ოქროს ჩაჩრობა პენსეს. ღამის ოპერაციამ დალადა და ფაქტიურად მძინარე ექიმი ცხენმა მოიგვანა სახლში. ოჯახის წევრებს არ ეძინათ. ვის ჰქონდა პენსეს (სათელე) დარდი, გიორგი ხომ ცო-

ცხალი დაუბრუნდა ოჯახს. ცოტა ხანში უცნობმა მოუტანა ნაპოვნი სათელე. ოჯახი ხშირად ისვენებდა ბოდბის ხეში წმინდა ნინოს ეკლესიასთან. მაშინ ეკლესიაში 12 მონაზონი მსახურობდა. ქალბატონი ელენე დაუმეგობრდა მათ. როგორც ქრისტიანი ქალი, იგი ხშირად უგზავნიდა ეკლესიას შესაწირს, სანოვაგებს, სადილს... მაღლიერი მონაზვნებიც ემხარებოდნენ მას საოჯახო საქმეებში: მატყლის მოჩქვა-დამუშავებაში, ლეიბებისა და საბუნების შეკერვაში. ერთ აუბედით დღეს აღელვებულნი მივიდნენ ბატონი გიორგისთან და სთხოვეს დახმარება. მათ გაუგიათ, რომ ეკლესიას საშიშროება მოელოს, შესანიშნავი ხმის ლამაზი ზარი უნდა ჩამო-

ფრახე სასურველი თამადა და შეუცვლელი ხელმძღვანელი სუფრისა. სადაც კი გამოჩნდებოდა, ყველგან სუფრის სიყვარული, მეგობრობა, დაუფიქარი დროსტარება. მის გარშემო მეგობრობას არ გააჩნდა ხანი. მეგობრობდა ახალგაზრდობასთან, თავის სტუდენტებთან, მეგობრებთან, კოლეგებთან არა მარტო „მიხაილოვის საავადმყოფოში“, არამედ მასთან ურთიერთობდა ექიმთა ინდრინდელი მოწინავე საზოგადოება. ბატონი გიორგი ყველას დამხმარე და ყველას მშველელი გახლდათ. ომის პერიოდში იგი მონაწილეობდა ჯარში გაწვევის კომისიაში. თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა მან აქაც გამოიჩინა. მან ჯარში გაუშვა თავისი სიძე ანდრო

ლიშვილი“. ამ ოჯახების მეგობრობა გრძელდებოდა ბოლომდე. მათი სიყვარული და სიბო მერგო მეც, გიორგის შვილიშვილს.

გიორგი მუხაძის საბიულო დღეს ბატონი გიორგი თავს შეუძლოდ გრძობდა, მაგრამ ვერ უღალატა მეგობარს. სუფრა წარმართა შესანიშნავად, ჩვეული სიტყვაჯამებით და სასიამოვნო სიმღერებით. ეს დღე, საუბედუროდ, ბოლო აღმოჩნდა ბატონი გიორგისათვის. სახლში მისულმა ფეხის შედგმა ძლიერ მოასწრო და ქალიშვილის, ლიას ხელში დალია სული. ეს მოხდა 1944 წელს. მარტო ოჯახის უბედურებად კი არა, მთელმა საზოგადოებამ გაითავისა და გაიზიარა მოულოდნელი დარტყმა. ოჯახში დღესაც ინახება დაცვისთვის აკონსული სადოქტორო დისერტაცია. იგი პროფესორ გიორგი ავალიშვილის დანატოვარია.

გიორგი ავალიშვილის გარდაცვალების შემდეგ რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკის (ყოფილ მიხაილოვის) რენტგენოლოგიური განყოფილების ბაზაზე შეიქმნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რენტგენოლოგიის კათედრა, სადაც იგი დღემდე ფუნქციონირებს, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბატონი გიორგის ქვისლი, პროფესორი ალექსანდრე კვალიაშვილი.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქალბატონმა ელენემ იცოცხლა 32 წელი და გარდაიცვალა 1976 წ. რამდენჯერ დაუკაკუნებიათ ფანჯარაში უცნობებს და უკითხავთ თეთრობიანი ქალბატონი. პასუხის შემდეგ დამწუხრებულები თავმალუნული მიდიოდნენ.

ვინც კი იცნობდა ამ ოჯახს, რომელსაც ერთ დროს თბილისის მოწინავე საზოგადოებისა და ინტელიგენციის თავშესაფარი ადგილად აღიქვამდნენ, იმედია გულგრილად ვერ გაიხსენებენ მათ და შეიძლება ჩემს ნათქვამზე მეტიც გაახსენდეთ. თუ კი რამ ჩემს მონათხრობში იყო რამ ქაოსური, ზოგჯერ ემოციური, ზოგჯერ არასინუსტით თანმიმდევრული, მაპატიეთ. საყვარელ წინაპარზე უცრემლო მოყოლა ვერ შეეძლო, რადგან მონატრების გრძობამ რეალად სარქველი გახსნა და ამაღლევა. თუ ვინმეს გაახსენებთა მოზღვაებული გრძობა გაახსენებს აქ არ თქმულს, მოპკერის ცრემლს, ეს ჩემი თანაზიარი გრძობა იქნება.

ნანა გიბიძური



გამოვიცხავთ ქართული კერძების სიმდიდრეს, მის გემრიელ შინაარსს, რომელიც აუცილებლად ქართველი ქალის ოსტატობასთან და მის დიხანურ ნიჭთან არის გაიგივებული, მაგრამ არაფერს არ ექნება ფასი, თუ სუფრის თამადა თავის სიმაღლეზე არ იქნება. სწორედ მისმა ოსტატობამ გაუთქვა სახელი ქართულ სუფრას და გახადა მიუღწევი მსოფლიოში უმშვენიერესი.

ქართული სუფრის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ღვინო, რომელიც ვაზის პროდუქტია. ვაზისაგან უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება უნიკალურია საქართველოში. ალბათ, სწორედ ამ სიყვარულმა და პატივისცემამ ჩვენს პატარა მიწაზე ამ დროისთვის კულტურის 50 სხვადასხვა სახეობა და ჯიშები შექმნა. საუკუნეების გრძელ მანძილზე ვერაფერმა ვერ გაკაპარა ერთმანეთისაგან ვაზი და ქართველი კაცი. ეს გათიშვა ჩვენს ტრადიციულ ისტორიაში ყველა მტერსა და დამპყრობელს სურდა. ჩვენი ისტორიკოსები, ძველი მემკვიდრეები, მას შემდეგ, რაც ქართული ანბანი შექმნა, იწერებოდა რა საქართველოს ისტორია, მწუხარებით გადმოგვცემენ, თუ რა სიასტკივით ებრძოდნენ ქართულ ვაზს ჩვენს მიწაზე შემოსული აღმოსავლეთის სატარბები. მათთვის ვაზის მოსობა, ხალხის რწმენისა და თეთი ჩვენი ხალხის მოსაზრებას ნიშნავდა. ამიტომ შეიძლება ითქვას, ქართულმა ვაზმა ისეთივე გოჯოხეთი გამოიარა თავისი არსებობის გრძელ გზაზე, როგორც თეთი ქართველმა ხალხმა თავისი ტრადიციული გზის განვლილ ისტორიაში. მიუხედავად ამისა, ქართველმა ხალხმა ერთგულებით უპატრონა მის, ათასჯერ ხელახლა ახარა

## ტრადიცია, ადათ-ჩვენი, კულტურა

იგი და შთამომავლობას სამარადეოდ უანდერძა, რადგან ჩვენი ხალხი ვაზში თავის ვაჟკაცურ სულსაც ინახავდა, თავის პატრიოტულ ამაღლებულ სულს.

ლხინისა და ჭირის რიტუალით, როგორც ფოლკლორიდან და ისტორიიდან ჩანს, საქართველო ყოველთვის თავისებური ქვეყანა იყო. აქ ყოველთვის ღვინოს ბლომად იყენებდნენ. ჯერ კიდევ ანტიკურ ქვეყნებს აკვირებდით, რომ საქართველოში რიტუალების შესრულების დროს წყალნარვე ღვინოს არ სვამდნენ. სვამდნენ იმ ღვინოს, რომელიც გენი-ალურ „ოდისეაში“ სურნელოვან ღვინოდაა მოხსენიებული, ხოლო XVIII საუკუნეში ფრანგი მოგზაური შარდენი წერდა: „არც ერთ ქვეყანაში იმდენ წარდენობით არ სვამენ ღვინოს, როგორც საქართველოში“.

საქართველოს მევენახეობის რაიონებში თითქმის ყველა გლეხს თავისი საკუთარი დიდებული ღვინო აქვს, რომელიც უმასპინძლებდა არა მარტო ოჯახში მოსულ ახლობელს, არამედ უცხო კაცსაც, რომელიც ჭიჭიარად შედგა და ჭიჭა წყალი მოითხოვა. ოჯახში მისულმა შეიძლება მასპინძელს ყველაფერი დაუწუნოს, გარდა ღვინოსა. ეს მასპინძლის დიდი შეურაცხყოფა გახლავთ. ღვინოზე უარის თქმაც შეურაცხყოფაა, მოწოდებული ჭიჭა ღვინოთ უნდა აუცილებლად დაიცავოს, რადგან ეს ოჯახის დაფასება და ოჯახის უწმინდესი ტრადიციაა, სტუმარი უღვინოდ ვერც კი

წარმოუდგენია. ქართველი ვაჟკაცი ოდიოვან ყველაზე მეტ ღვინოს სვამდა და ყველაზე გვიან ეკიდებოდა ბახუსის მადლი. აი ამის შესახებ რას წერდა ცნობილი რუსი მწერალი ალექსანდრე გრიბოედოვი: „რა-მდენი წელია ვაკვირდები და უნდა მოგახსენოთ, რომ ისინი რაც მეტს სვამენ, მით უფრო ფიზიკურად ძლიერებიან. დედამიწის ზურგზე არ მეფულება მეორე ერი, რომელსაც ღვინო ისე აკეთილშობილებდეს, აფილოსოფოსებდეს, ააღამიანებდეს. იმას რასაც სხვები ღვინოში კარგავენ, ესენი სწორედ ღვინოში პოულობენ!“

ქართული მამა-პაპური ღვინოს დამახასიათებელი ვაჟკაციური ნადიმი, მიხარული შექცევა, რაინდული დროსტარება, დარბაისური ქიფი, დინჯი გონიერული მუსაიფი, სვა-ბაასი და ძველებური „იარი-არალი“ დარდმანდი დიდი ქართველი პოეტის გრიგოლ ორბელიანის აღტაცების, ხოტბის შესხმის და თავყვანისცემის საუბრე გახლდათ.

დღემდე საქართველოს ისტორიაში ყველაზე ცნობილი თამადა იყო ძველი თავადი კახეთიდან გულბათი ჭავჭავაძე, რომელსაც ცნობილია ქართველმა პოეტმა ლადო ასათიანმა უძღვნა უმშვენიერესი ლექსი „გულბათი ჭავჭავაძე“. ჩვენს პერიოდში ცნობილი თამადაები იყვნენ სიმონ სხირტაძე, რეზო ლაღიძე, დიმიტრი დიდუბელიძე, გიორგი ლეონიძე, კარლო კალაძე და კიდევ ბევრი, ვინც დღეს ვერ მოვიხსენიებთ.

ქართული ნადიმი ქართველი კაცის განყოფილი ნაწილია, იგი თან სდევს მას სიხარულსა და გაჭირვებაშიც, ჭირშიც და ღვინოშიც. ქართულ ტრადიციებზე ბევრი საინტერესო მასალა შემონახულია ეთნოგრაფიაში და ფოლკლორში, ხოლო ქართულ მწერლობაში „მუშანკის წამებთან“ დაწვეული ბევრ ნაწარმოებშია აღწერილი რიტუალების სახით.




განსაკუთრებით საინტერესოა არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის, თეიმურაზ მეორის, ვახუშტის, იონე ბატონიშვილის, ალექსანდრე ჯამბაურ-ორბელიანის და სხვათა ზნეთა-სწავლულობანი.

ქართული სუფრის ტრადიციები გადადის თაობიდან თაობაზე და ეს გაგრძელდება, სანამ მას ქართული ნაციონალური კულტურის, მისი სახიერების წარმოსახვა ევალება.

ზინბარ ხალაშვილი (გვგებულება შემდეგ ნომერში).





# ჩუნი მოღვაწენი თაიღისკი



1892 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№107 27 მაისი) დაიბეჭდა ახალი ამბავი: „ამ თვის 25, ნაშუადღევს, პირველ საათზედ, რუსთა პოეტის ალექსეი სერგისძის პუშკინის ძეგლის კურთხევა იყო“. ძეგლი დაიდგა პატარა ბაღში მოედანზე ნებაყოფლობით შეგროვილი ფულით ქართული საზოგადოების მიერ. „თბილისის მეზუეთ ქალაქია, სადაც კი განსვენებულ პოეტს ძეგლს უდგამენ“. პირველად დაიდგა მოსკოვში, მერე პეტერბურგში, კიშინიოვში, ოდე-საში და შემდეგ თბილისში. „ძეგლის კურთხევის დღეს პუშკინის ბაღს დიდიდანი დიდძალი ხალხი მოაწყდა. ახლო სახლების ბავშვები, ფანჯრები და სახლის ბანები სავსე იყო ხალხით. ბაღი შემოკობილი იყო დროშებით. ძეგლის გვერდებზე, რომლის სავანეში იყო გახვეული, გამართული იყო მშვენიერი სამფეროვანი კარავი, აქედან ჩანდა ის სახლი, რომელიც 1829 წელს სტუ-მრობდა ალექსეი პუშკინი“.

„1829 წელს პუშკინი ჩვენს ქვეყანაში მოვიდა. ნაზა კაკასიონის მითი, მისი მცხოვრებნი, ველნი და ხეობანი საქართველოში და აღტაცებაში მოსულმა რამდენიმე მშვენიერი ლექსი უძღვნა მათ“.

„განსვენებული ივანე კერესელიძე „ციცკარის“ რედაქტორი 1850 წლემში ლექსებსა სწერდა და ხშირად იტყოდა ხოლმე - „ქართველების პუშკინი ვარო“.

ტფილისში, სემინარიის პირდა-

პირ ბაღში დასადგმელი პუშკინის ძეგლისათვის ფულს რომ აგროვებდნენ, ერთს ხნიერს ქართველს სთხოვეს ხელის მოწერა.

– პუშკინი ვინ იყო? – რუსულ ლექსებს სწერდაო – უპასუხეს. – ჰო, რუსების კერესელიძე ყოფილაო! – და მისცა სამი მანეთი.

შეაგროვა ნანა ლალაშვილიმა

## \*\*\* აქტიური თბილისი

განაფხულის ერთი დღის გრილ საღამოს, ჩუღურეთის რაზმი ანდრო ლევაყას ბინის კარებს მოადგა ვილაც „მოხეტიალე“ რუსის სახის პირიონება, რომელიც ბ-ნ ანდროს კითხულობდა. პირიონება იმდენად საეჭვოდ გვეჩვენა იქ მყოფთ, რომ გეინდოდა თავიდან მოგვეშორებინა, მაგრამ სწორედ ამ დროს ოთახში შემოვიდა ანდრო ლევაყა, რომელმაც კითხვა მოსულ სტუმარს თუ ვინ იყო ან რა უნდოდა... მოსულმა რა-ღაც ბარათი გადასცა ბატონ ანდროს. აღმოჩნდა, რომ ამ ბარათის მომტანი იყო ალექსი მაქსიმეს-ძე პე-შკოვი.

ნოვოროსისკის ორგანიზაცია (პარტია) თხოვეს თბილისის ამავე ორგანიზაციას – რათა მიიღონ ა. მ. პეშკოვი თავის წრეში და აღმოუჩინონ დახმარება: – ივანეებს ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ს. რობაქიძე.

ა. მ. პეშკოვი (გორგი) პირველად 1891 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩამოვიდა თბილისში. პირველი ხანები ცხოვრობდა მ. ი. ნაჩალაოვთან, რომლის ორ ოთახიანი ბინა მდებარეობდა მიხეილის, შემდეგ – პლეხანოვის ახლა (დავით აღმაშენებლის) №169-ში.

1892 წლის იანვარ-თებერვალში გორგი გადავიდა ი. ა. დანკოსთან ვერაზე ყოფილ პაპანიოს ახლა (სარაჯიშვილის) ქუჩაზე. ამავე წლის თებერვლიდან იენისამდე, თავის მეგობრებთან: ფ. აფანასევიან, ვ. ი. როზინთან და სხვებთან ერთად ცხოვრობდა კრანსოგორსკის (ახლა გორის) ქუჩაზე სარდაფში, სადაც იქვე მიმდებარე ტერიტორიაზე აღმა-



მ. გორგი და ვ. ვალიაპინი თბილისში

რთულია მისი ძეგლი. შემდეგ კი გადადის ა. მ. კალიუჟინის ბინაში, რომელიც მდებარეობდა ყოფილი ელისაბედის ქუჩაზე – შემდეგ ელიზაბეტსკაიად წოდებული, შემდეგ კლარა ცეტკინად და ახლა კი მიხეილ წინამძღვრიშვილის №146-ში, რომლის ეზოს შესასვლელში გაკრული მემორიალური დაფა გვამცნობს მ. გორგის ამ სახლში ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღს.

1892 წლის სექტემბერში მიემგზავრება უკან რუსეთში ბაქო-ასტრახანის გზით.

მართალია ბევრი რუსი მწერალთაგანი საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ უმრავლესობა შეყვარებული იყო მასზე. აი, ერთი მაგალითი გოგოლის წერილიდან:

„რამდენიმე სიტყვა პუშკინის შესახებ“. – იგი აღტაცებით ლაპარაკობს „მშვენიერ საქართველოსა“ და მარადიული თოვლით დაფარულ გოლიათ კაკასიონზე. „სადაც რუსეთის განუზომლობა წყდება ცათაბჯენილი მთებით და სადაც მას საძმრეთი ელაპურება“.

ჩვენმა ქართველმა პოეტმა და ფილოლოგმა ს. ხუნდაძემ საკუთარი

ლექსი მიუძღვნა გოგოლის სსო-ვნას. ნაწევრები:

„სად არის კაცი ის მაღლიანი, გულმოშხამული გაახალისოს და თვალცრემლიანს, სევდით მოცულს

თუნდ ერთი წუთით – შეგბა აღი-რსოს?

ამისთვის უნდა აზრი წარმტაცი, საგომანები სიტყვა ობოლი... ერთი მათგანი არის გოგოლი!“

ამიტომაც ქართველმა ხალხმა მათი დიდი პატივისცემის ნიშნად მრავალ ქუჩას მათი გვარები მიაკუთვნა, რომლის მეტი წილი მეფეთუბანზე მოდის – აი ისინიც: გორკის, გოგოლის, მაიაკოვსკის, ტურგენევის, ნეკრასოვის, ჩერნიშევსკის, ტოლსტოის, ანტონოვსკაიას და სხვა.

სოფიკო ნიკოლაიშვილი



ვალიაპინი 1921 წელი შხატპარი კუსტოლში

## აბასილი აურზაური!

დიდი რუსი მომღერლის ფიოდორ შალიაპინის სახელთან დაკავშირებით ერთ დროს პირდაპირ სენსაციური ამბავი გახმაურდა. 1909 წელს თბილისელმა ფიონა მელნიკოვა-მაისტრენკომ განაცხადა – მე დედა ვარ შალიაპინისო.

თურმე, გასული საუკუნის 70-იან წლებში სტავროპოლის გუბერნიიდან მოსამსახურედ ჩამოუყვანიათ 14 წლის გოგონა ფიონა მელნიკოვა. იგი ადვილად შეუცდენია ღვინით მოვარჯიშე ბახუტაშვილს. 1873 თუ 1874 წელს შესძენია ბიჭი, რომელიც პოლიციელ ივანე შალიაპინს უშვილებია.

1909 წელს თბილისში ჩამოსულ შალიაპინს სასტუმროში

მიაციტხა მელნიკოვა. დიდხანს ისაუბრეს, მომღერალმა მის პატარა ვაჟს 100 მანეთი არუქა. ქალს ყველაფრის გარკვევას დაჰპირდა. გავიდა დრო და მელნიკოვას შალიაპინმა უცხოეთიდან ერთი მომღერლის ხელით 1000 ოქროს მანეთი გამოუგზავნა (რატომ გაუგზავნიდა უცხო ქალს შალიაპინი ასეთ დიდ თანხას?!). ქალმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, – პასუხის მაგიერ ფული არ მიიღო.

შალიაპინი პრესაში ატყვილ აურზაურზე დუმდა და არასოდეს უცდია პასუხის გაცემა...

შალვა კაშმაძე „თბილისის ოპერის თეატრი“

ჯემალ კვანტალიანი



ბავშვებს ბევრი ლამაზი ოცნება, ნატურა და სურვილი აქვთ. ოცნებობენ ჩქარა გახდნენ დიდები და გამოვიდნენ: მხატვრები, მუსიკოსები, მასწავლებლები, ექიმები, ჟურნალისტები და სხვა... ამ თამაშ-თამაშში უყალიბდებთ გემოვნება, ნაწილობრივ მსოფლმხედველობა, მიდრეკილება და შეიძლება პროფესიული ორიენტაციაც კი გამოკვეთოთ. ვინ იცის... შეიძლება ბავშვობის ოცნება მხოლოდ სასიამოვნო მოგონებად დარჩეს – და დღევანდელი „ნორჩი მასწავლებელი“ ხვალ კალამბასრი ჟურნალისტი გახდეს, ან პირიქით. ვინ იცის... ამას მომავალი გვიჩვენებს, მანამ კი ნებისმიერი ბავშვური მიზანსწრაფვა, გატაცება და შემოქმედება დასაფასებელი და საინტერესოა.

დღეს ჩვენი გაზეთის საშუალებ-

## ჩაბი

ბით გთავაზობთ ექვსი წლის მარიამ მუქერას ჟურნალისტურ დებიუტს. ნორჩი კორესპონდენტი მსახიობ გოგა პაპინაშვილს შეხვდა და ინტერვიუ ჩამოართვა. მწვანე გზა და ოცნებების ასრულება გუსურვით პატარა ჟურნალისტს.

**კითხვა:** კინო უფრო გიყვართ, თუ თეატრი, როგორც მსახიობს?

**პასუხი:** როგორც მსახიობს თეატრი უფრო მიყვარს, მაგრამ ცნობით პოპულარული ფილმებით უფრო მცნობენ.

**კითხვა:** რატომ გიყვართ თეატრი?

**პასუხი:** იმიტომ რომ, თეატრი ჩემი საიდუმლოებების პატარა სახლია, რომელშიც ბევრი სხვადასხვა გოგა ცხოვრობს. იმდენი, რამდენ როლსაც ვთამაშობ – თუ გასაკებად გითხარი.

**კითხვა:** რატომ გახდით მსახიობი?

**პასუხი:** მსახიობი რომ გავხდი, ეს მამაჩემის ბრალია, ალბათ, იმიტომ, რომ თუ პატარაობიდან შემავყარა თეატრი. მამაჩემიც მსახიობია და მე როცა შენხელა ვიყავი, ხშირად მიწევდა თეატრში ყოფნა. ძალიან მაინტერესებდა, მსახიობები როგორ იყვებიდნენ უღვაშებს, წვერს, გრიმს, როგორი ხმლები ეჭირათ ხელში, ნამდვილი თუ არა. როგორ ცეკვავდნენ, როგორ მღეროდნენ, მოკლედ ყველაფერი მაინტერესებდა. შემდეგ ეს

ყველაფერი ძალიან შემეყვარდა და როცა გავიხარე, სხვა პროფესიაზე არც მიფიქრია. ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში და გავხდი

## პირველი

მსახიობი. აი ასე.

**კითხვა:** რომელი როლი გიყვართ?

**პასუხი:** ყველა როლი, რომელიც მე მითამაშია, ყველა ძალიან საყვარელია ჩემთვის.

**კითხვა:** თქვენ ტაშს რომ გიკრავენ, რას ფიქრობთ?

**პასუხი:** ტაშს რომ მიკრავენ? – ჰო, ეს ყველაზე დიდი სიხარულია მსახიობისთვის. ესე იგი მაყურებელს შენი თამაში ძალიან მოეწონა და ტაში მსახიობისათვის ყველაზე დიდი ჯილდოა. გამიგე?


**კითხვა:** ანას თქვენ კინოში უფრო მოსწონხართ თუ თეატრში?

**პასუხი:** ანა ჯერ იმდენად პატარაა, რომ მხოლოდ გაკვირვებულია. მე შენ ერთ ასეთ ამბავს მოგიყვები: ერთ-ერთ სპექტაკლში მე მოხუც კაცს – ბაბუას ვთამაშობ. დიდი ცხვირი მაქვს გაკეთებული, დიდი უღვაშები, მახურავს ცილინდრი, ყავარჯნით დაედივარ. ანა ერთხელ დაესწრო ამ სპექტაკლს. ხმაზე თითქოს მიცნო, მაგრამ ვერ მიხვდა, ვინ ვიყავი და შემინებულმა ტირილი მორთო. იმისათვის, რომ ანა დამემშვიდებინა მისი თანდასწრებით დავიწყე გრი-

მის მოხსნა. მალე ანა დამშვიდდა. სახლში მისული ანა ბებიას უყვებოდა – მამიკო გრიმის უკან იყო დამალული – არ მომწონს ეგეთი მამიკო.

**კითხვა:** ოთხი წლის რომ ვიყავი, მამიკომ მომიყვანა თქვენთან დარბაზში, ენახე ბავშვების ფოტოსურათები. ვინ არიან ეს ბავშვები?

## ინტერვიუ



პ.ს. თუ ვინა ხემა ვერა...  
ქ. ხვრება ვიშვევებ თუ...  
მეგობრებო ვიშვევებ თუ...  
ვინა ხემა ვერა...  
ქ. ხვრება ვიშვევებ თუ...  
მეგობრებო ვიშვევებ თუ...  
ვინა ხემა ვერა...  
ქ. ხვრება ვიშვევებ თუ...  
მეგობრებო ვიშვევებ თუ...  
ვინა ხემა ვერა...

გშვები?

**პასუხი:** ეს ჩვენი სტუდიის პატარა მსახიობები არიან.

**კითხვა:** რა ხდება ამ დარბაზში?

**პასუხი:** დარბაზში? – აქ ჩვენი მოწაფეები სწავლობენ ცეკვას, სიმღერას, დგამენ პატარა სპექტაკლებს, ვიღებთ საბავშვო ფილმებს და ასე შემდეგ...

**კითხვა:** როგორი მამა ხართ?

**პასუხი:** ეგ ჯობია თავად ანოს კითხო, ჩემო მარიამ. ისე მე მგონია კარგი მამიკო ვარ.

**კითხვა:** რას აკეთებს ანა თქვენთან თეატრი?

**პასუხი:** ანო ჯერ მამიკოსის როლშია.

**კითხვა:** თეატრის გარდა, რას აკეთებ?

**პასუხი:** თეატრის გარდა? – ვმუშაობ შენხელა და ცოტა დიდ ბავშვებთან, ვასწავლი „მსახიობობას“ და ვიღებ პატარა საბავშვო ფილმებს... კიდევ... ვზრდი ანოს.



# ზუბალაშვილები


ზუბალაშვილები – ერთ-ერთი ძირითადი ქართული გვართაგანია საქართველოში. ოდითგანვე ამ გვარის წარმომადგენლები მკაცრად მისდევდნენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის განვითარებას.

ჟამთა დაუდგომელმა ბრუნვამ თანდათან დაიწყო ბურჟუაზიის გაზრდა იმ რჩეულ მამულიძეებთან სახელები, ვინც მშობელი ხალხის ბედ-იბაღზე ზრუნავდა და მათი ნათელი მომავლისათვის იღვწოდა. მაგრამ მათ დაეწევა არ უწერიათ და რუსთაველის თქმისა არ იყოს, გასსენება „აროდეს გვიხამს ზიანსა“.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე თავის შრომებში ხაზგასმით მიუთითებს ამ გვარის მრავალრიცხოვნობაზე და მათ ქართულ წარმომავლობაზე.

ზუბალაშვილები, იგი ზუბაშვილები, ზუბიათი, ზუბალოვები (რუსული გაფორმებით), ხელობის მიხედვით მესტამბისძენი (მესტამბისძეები) ყოფილან. მათ სახელთანაა დაკავშირებული ქართული სტამბების დაარსების და წიგნის ბეჭდვის საქმე.

ზუბალაშვილები მოსახლეობდნენ ერწო-თიანეთში, ცხინვალში, ქუთაისში, მესხეთ-ჯავახეთში. მე-16 საუკუნეში ქალაქ გორსა და მის ახლომხლო სოფლებში. თავდაპირველად მართლმადიდებლურ სარწმუნოებას აღიარებდნენ. მაგალითად, თბილისში ვახტანგ VI-ის კარზე ცხოვრობდა მართლმადიდებელი მღვდელი გიორგი ზუბალაშვილი, ამ დროის კვანთაშვილი, დიდად განსწავლული, მეფესთან დაახლოებული და მისი სამწიგნობრო საქმის თანამგრობი. იგი დიდად დახმარებდა მეფეს თფილისში 1707 წელს სტამბის გახსნაში. მოგვიანებით ამ გვარეულობის ერთმა ნაწილმა კათოლიციზმს მიიღო და თბილისში, სოლოლაკში (დღევ. დავითაშვილის ქ.) 1780 წელს დაარსებული კათოლიკური სასაფლაო თავიანთ საძაღვად აქცია. კათოლიკური სარწმუნოების პირველ აღმსარებლად ზურაბ და მარიამ ზუბალაშვილები მოიხსენიებიან.



ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში „მრეწველობის წარმომადგენნი და ზუბალაშვილების გვარის ისტორია“ (1904წ.) აღნიშნავს: „ადრე იწერებოდნენ ზუბალაშვილებად, შემდეგ კი ახალციხის კათოლიკობას დაუკავშირდნენ და ქართლში გადმოსახლდნენ. მანამდეც ზოგიერთს მიუღია კათოლიციზმი და ზუბალაშვილად, ზუბიანად მოიხსენიებიან“.


როგორც მართლმადიდებელ, ისე კათოლიკე ზუბალაშვილებს ოდითგანვე ძირითადი ქართული სახელების დარქმევა წესად ჰქონიათ მიღებული, ამის თაობაზე ზაქარია გადმოსცემს „მათ შორის ჩანან არა მარტო ზურაბი, გიორგი, მარიამი, არამედ, ქეთევანი, რუსუდანი, ნათელა, იაკობი, მზექალა, თუთა, ავთანდილი, რევაზი და სხვა“.

შემორჩენილი მასალებიდან XVII-XVIII საუკუნის პირველ ნახევარში გვხვდებიან ზურაბ ზუბალაშვილი, ქალა ზუბალაშვილი, მარიამ ზუბალაშვილი, გიორგი




ზუბალაშვილი (მღვდელი), რომანოზ ზუბალაშვილი თეიმურაზ მეფის თანამდროვე, მწიგნობარი, მესტამბე (აქედან მომდინარეობს მესტამბისძენი, მესტამბისძეები) მოგვიანებით რომანოზს იხსენებენ ზუბოვად მაშინ ჩვეულებრივი წესი იყო ბართული გვარები რუსული დაბოლოებით (ციციანოვი, ბარათოვი, ჩერქეზოვი, ფალაგანდოვი). დავით ზუბალაშვილი ცნობილი მესტამბე ქართლსა და იმერეთს, მოსწრებია ერეკლე II-ს, გიორგი XIII-ს იმერეთის მეფე სოლომონ I-სა და II-ს, ლუკა ზუბალაშვილი, ახალციხელი ხელოსანი, ოქრომჭედელი (ზუბათი). ისებ ზუბალაშვილი ახალციხელი, მათი გარდაცვალების შემდეგ ბოლო მოეღო ზუბალაშვილების საგვარეულოს ახალციხეში.

XVIII საუკუნეში სოფ. ასპინძაში რუსეთ-თურქეთის ომის დროს ერთი კომლი გამაჰმადიანებულა და ოსმალეთში გადასახლებულა. გადმოცემით ოსმალეთში 3 კომლი გადასახლდა. იქ დაიყვნენ და დღეს 10 კომლი სახლობს, ზოგი სტამბულში ცხოვრობს და ქველმოქმედებასაც ეწევა.



გორში მცხოვრებმა სამმა ზუბალაშვილმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება მიიღო. ამის საბაბი იყო სომხური საგაჭრო-კაპიტალის ბრუნვა-განვითარება. ამ პერიოდში მან საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა. სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ გრიგორიანულ სარწმუნოებაზე არამარტო საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმული ქართველი ვაჭრები გადადიოდნენ, არამედ საქართველოს ქართველი ვაჭარ-ხელოსანთა დიდი ნაწილიც უერთდებოდა. ეს მხოლოდ ეკლესიის ტიბიჭონს მოასწავებდა და არა გვარტომობას.

სამშობლო იყო ზუბალაშვილების საკურთხეველი. მასზე ზრუნვა მათი უპირველესი მიზანი იყო. ამ საქმეში მათ ხელს არ უშლიდა ის გარემოება, თუ სად ცხოვრობდნენ ისინი, ან რომელ სარწმუნოების მიმდევრები იყვნენ. „დრო



გადის, კაცი კვდება, არ კვდება მხოლოდ მის კეთილ საქმეთა ხსენება“, – ამბობდნენ ისინი.

ოდითგანვე ამ დიდი გვარის წარმომადგენლები, როგორც მამაკაცები, ისე

ქალები საქველმოქმედო საქმეს ეწეოდნენ, ვაჭირებულთ ეხმარებოდნენ, ხსნიდნენ სკოლებს, თავშესაფარ სახლებს, აშენებდნენ ეკლესიებს, სასოფლო კოშკებს, მეტატონისგან ათავისუფლებდნენ საბატონო გლეხებს, ზრუნავდნენ ახალგაზრდების სწავლა-განათლებლაზე.

საქართველოს რუსეთის პროტექტორატის მოქცევის შემდეგ ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებასთან დაკავშირებით, ვაჭრობა-მრეწველობაში ზუბალაშვილები განსაკუთრებით დაწინაურებულან. ერეკლე მეფის დროინდელ ვაჭართაგან საკმაოდ ცნობილი იყო ივანე ზუბალაშვილი თავის მშობთან იაკობთან, მერაბთან, ანდრეასთან, სტეფანესთან და ფრანცისკესთან ერთად.

სტეფანე ზუბალაშვილი ფართო ვაჭრობას ეწეოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, თურქეთსა და ირანში. 1808 წელს ინდოეთში მცხოვრებ ქართველ და სომეხ ვაჭრებს დაუკავშირდა. იგი იქ დასა-



ხლდა და იქვე გარდაიცვალა 1915 წელს. ივანეს ვაჭრული იაკობი ჩინებული განათლების ყოფილა. იგი ფლობდა ქართულ, ლათინურ, სომხურ და თათრულ ენებს. იაკობი ეწეოდა პურით ვაჭრობას. 1837 წელს თბილისში მან დააარსა შაქრის წარმოების ამხანაგობა, ხოლო 1838 წელს გაიხსნა შაქრის წარმოება-ქარხანა, რომლის ადგილას შემდგომ სამხედრო სასამართლო აშენდა. ქუთაისში საფუძველი ჩაუყარა არყის სახელე წარმოებას და მას ამ საქმეში არა ერთი მიმბაძველი გამოუჩნდა. იაკობ ივანეს-მე ზუბალაშვილი დაკავშირებული ყოფილა დადიანების ოჯახთან. ეკატერინე ჭავჭავაძეს სასახლის ვაჭრად დაუნიშნავს. იგი საქართველოდან კონსტანტინოპოლში გზავნიდა ბამბას, მატყლს, აბრეშუმს, შხის ხეს, ხოლო შემოქმენდა ფარჩეულობა, შაქარი, ყავა, ძაფეულობა, ჩითეულობა.

იაკობის აშენებული ყოფილა თბილისის სასულიერო სემინარიის (ამჟამად ხელოვნების სახელმწიფო მუზე-


უმის) შენობა. 1827 წელს როსტომ მეფის ყოფილი ქარვასლის ადგილზე. აქ მიიღეს სტუმრად ჩამოსული ნიკოლოზ პირველი ქართველთა თავადანაწარობამ 1837 წელს.

60-70 წლებში ცნობილი იყო იაკობის ვაჟი კონსტანტინე ზუბალაშვილი. მან დაამთავრა კეთილშობილთა სასწავლებელი, შემდეგ კი გამხდარა სამხედრო მოსამსახურე. სამხედრო სამსახურის შემდეგ ხელი მიჰყო კომერციას, იგი ფინანსდებოდა ემბარგოება კათოლიკურ და ქართულ სკოლებს, ვაჭრებს. მის მიერ გაღებული თანხით აიგო თბილისის საქალაქო სახლი (1907 წ.) ამჟამად კ. მარჯანიშვილის სახელმწიფო აკად. თეატრი (არქ. ს. კრიჩინსკი). კონსტანტინე ზუბალაშვილის მიერ აგებულია ი. ჯავახიშვილის ქ. პეტრე და პავლე მოციქულთა კათოლიკური ეკლესია. ამავე დროს იგი თბილისის რომაულ-კათოლიკური მრევლის მამასახლისიც გახლდა. მისი ვაჟის სტეფანე ზუბალაშვილის მიერ გაღებული თანხით აგებულია თბილისის სათავადაწნაურო გიმნაზია – შემდგომში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა. 1903 წელს მისი თანხით აშენდა ბათუმის კათოლიკური ეკლესია. ბევრმა ახალგაზრდამ მისი დახმარებით მიიღო განათლება რუსეთში. ქველმოქმედებას ეწეოდნენ სტეფანეს ძმებიც – ლევანი, პეტრე და იაკობი. მათი შემოწირულობებით არის აგებული ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

კონსტანტინეს ბიძაშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილის ქველმოქმედებაც გვინდა აღვნიშნოთ. მისი თანხით აშენდა მთაწმინდაზე სამათხოვრო სახლი (ამჟამად ბავშვთა კლინიკური საავადმყოფო), სადაც ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, შეეძლო მისვლა.

ზუბალაშვილების ნათელი საქმე მარად იცოცხლებს თაობათა გულებში. დღეს მათი ნამოქმედარის უბრალო ადუქატური აჩრდილებიც კი არ გვეშუღება.

მასალა მოამზადა  
ნიკოლოზ ზაქარიაშვილმა



## გაბა — „სოსფეკი ჰღანესტიდანი“

იმანე, რომელიც მას ღებულობს, ეს ყველაზე უკეთ თაღეს ესმოდა დღევანდელი შეჭირვების უამს.

თაღეს — უნიჭიერესს, განუმეორებელ პიროვნებას ცისფერი პლანეტის არსებობის სწამდა, საიდანაც იგი გარკვეული მისიით იყო მოვლენილი დედამინაზე და წინასწარ იცოდა, როდის აღესრულდებოდა და დაუბრუნდებოდა ამ პლანეტას (სასწაულების მხოლოდ ურწმუნოთ არ სწამთ, თაღესი კი მორწმუნე ადამიანი იყო).

თაღეს შონია მეფეთუხენელი: პლენანოვზე გაზრდილი, ღამაში, ათლეტური აღნაგობის, მხრებგაშლილი ვაკეცი ამშვენებდა ამ უბანს. მან 1957 წ. დაამთავრა თბილისის მე-17 საშ. სკოლა, ხოლო შემდგომ ფიზიკის ფაკულტეტი. მის დიდ გატაცებას მოამსვენლობა წარმოადგენდა.

მასთან საუბარში გიბილადათ მისი ნათელი პიროვნება, განათლება, ერუდიცია. უფოლოგია იყო მისი ცხოვრების ასპარეზი, რისთვისაც იღვწოდა. შრომობდა და შეუქმნევლად იფერფლებოდა. არიან ადამიანები, რომლებიც არაფრით გამოირჩევიან ცხოვრებაში, დაღიან ჩუმად, უღიმღამოდ. მიდიან ამ ქვეყნიდან და მარადისობაში იყარებებიან. ამას ვერ ვიტყვი თაღეს შონიანზე, რომელიც ენერგიით სავსე, დაუდგომელი,

ოჯახის, მეგობრების, სამშობლოსა და ერის სიყვარულში იწეოდა, იღვწოებოდა.

ბევრჯერ შემხვედრია თბილისის ქუჩებში თავისი განუყრელი ჩიბუხით და გეისაუბრია იმის შესახებ, თუ რამდენი შემოთავაზება აქონდა უცხოეთში საცხოვრებლად და სამუშაოდ წასვლისა. მაგრამ მას არ შეეძლო დაეთმო საქართველოს მთები და მინდვრები, რომელიც სულ ფეხით აქონდა შემოვლილი. არასოდეს მოუხიბლავს უცხოეთში ცხოვრების კარგ პირობებს და არ გაუცვლია თავისი (მისთვის სათავგანებელი) „სამშობლო, სხვა ქვეყნის საშობილზედა“. მიუხედავად იმისა, რომ უფოლოგიურ კვლევა-ძიებაში მას ბევრი დაბრკოლების დაძლევა უხდებოდა და დაუმხარეც თითქმის თითო-ორიოლა, ამ დარგით დაინტერესებული ადამიანი თუ ვლდა გვერდში.

მას, მშობლიური მიწის და ქართველი ერისადმი „სიყვარულით ანთებულ კაცს კარგი ოჯახი, კარგი ცოლ-შვილი და შვილიშვილები დარჩა. დარჩა მისი მსგავსი ვაჟიშვილი ირაკლი, მისი საქმის გამგებელი იყო, და, მე ვიმედოვნებ, რომ ის მომავალში თავის სათქმელს იტყვის.

აი, უკვე სამი წელია, რაც ეს კაცი-კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან ზუსტად ის დროსა და საათს, როგორც ამას თვით წინასწარმეტყველებდა.

ალბათ, ყველა ჩვენთაგანისათვის, ვინც მას ვიცნობდით, გვეყვარა და ვაფასებდით, სასიხარულო და სასიქაღლო იქნებოდა, რომ ეს ადამიანი დღე-

საც ჩვენს გვერდით იყოს. თაღესი დაგვავლდა ყველას.  
და, ის, ვინც მიდის და ცოცხალი გვაკლია, მისი უკვდავებაც ამაშია, ის ჩვენში ცოცხლობს.

ნანული თხარაძე  
თანაკლასელი



I რიგში: გურამ ფაშა-ოლი, ფისო ფირცხალაიშვილი.  
II რიგში: ნანა ანთიძე, ლილი გიგინიშვილი, ოთარი, ზურაბ აბიანიძე, ჟუჟუნა არეშიძე, ნანული ქინთარია.  
III რიგში: ზიფერდ ბარქაია, ნარიმან გამყრელიძე, ნანული თხარაძე, თაღეს შონია, მარინა გიგინიშვილი.



# ჩვენი სახლი, ჩვენი ქუჩა, ჩვენი სკოლა, ჩვენი უბანი, ჩვენი თბილისი



ძალიან გამხარდა, როცა სალომე მთხოვა ეს წერილი გამოსაქვეყნებლად რედაქციისათვის შემეთავაზებინა. მიხარია ისიც, რომ ჩვენს გაზეთში თანამშრომლობა ახალგაზრდებსაც სურთ. სალომემ მითხრა, რომ მისი მეგობრებიც სიამოვნებით კითხულობენ „მეფეთუზანს“ და დიდ პატივად მიიჩნევენ, თუკი გაზეთი მათს თანამშრომლობაზე დათანხმდება.

აი, სულ ეს მინდოდა მეტყვა, მკითხველო, დანარჩენი თქვენ გასაჯეთ.

ნოდარ ზედელაშვილი

სათვის იყო გათვალისწინებული – მეორე სართული სახლის მეპატრონეს, ხოლო პირველი სართულის ორი ბინა – გაქირავებისათვის. ქსოვი დამხმარე ნაგებობებიც იყო: სამრეცხაო,სახაბზო, საუჭნაოები, თავლა და სხვა. აქვე იყო მწვანეში ჩაფლული დასასვენებელი ფანატური აუზითურთ. ბაქოს ნავთობის სარეზერვუარე გამდიდრებულ გონივრად გვარგადკეთებულ ალექსანდრე გომიშვილს შემდეგ გულმა ისევ სამშობლოსკენ გამოუწია და გერმანელი კოლონისტების უბანში ეს სახლი ააშენებინა. სახლის მეორე სართულზე თვითონ, მისი მეუღლე სო-

ოჯახი და ამ სახლში ჩაასახლა. ცინცაძეებს თან ჩამოუყვანიათ სამოქალაქო ომის უბედურებას გადარჩენილი, ოჯახდამგრეული ულამაზესი პოლონელი გოგონა პოლინა რაჟნეცკაია, რომელიც შემდეგ ცოლად უთხოვია კარგ ხელოსანს ლევან შალეგოვს და ღრმად მოხუცებულობამდე ამ სახლში ცხოვრობდნენ.

ასევე გადარჩენილმა კადრის ყოფილმა ოფიცერმა გიორგი ნასიძემ თავის თანამებრძოლს, რევოლუციის ქართველებში გამოვლილ პაპაჩქემს ვლადიმერ ცხვირაგავილს დაუთმო ქსოვი მდებარე კუთვნილი სათავსო-

ვლოდათ და მწობელი, ვილნიუსიდან ებრაელთა დარბევის დროს გამოქცეული აბრამ შაფერი მალაგდა თავის ოჯახში. შემდეგ კი, ცხოვრების ორომტრიალმა ჩვენი მწობლები ქალაქის სხვადასხვა უბნებსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაფანტა. მაგრამ მათ თან წაიყოლეს ის სითბო, რომელიც ამ ძველმა კედლებმა და ერთმანეთთან ურთიერთობამ მისცა. აუღლებლად ვერ წაიციტსათე წერილებს, რომლებიც ჩვენს ოჯახში ინახება. ისრაელში საქართველოდან წასულ ლაშარე ლევის თბილისური აპრილი, მისის შაჰუნა წვიმა და ეზოში პაპაჩქემის მიერ გაშენებულ ტა-ლავერქემ სახელდახლოდ გამლილი სამშობლო სუფრა ენატრება, იწერება, შვილოშვილეს ქართული იანვანით ვხრდით, შორეულ თელ-ავი-ვში.

ახლა კი, ჩემს ძველ ქსოვი მსოლოდ ცინცაძეები დარჩნენ. მართალია, მე ბუნდოვნად მახსოვს, მაგრამ, მინც მესსიერებაში ჩამარჩა ბებია თამარ ცინცაძე, რომელსაც იმ ავადსასენებელ წლებში, მშობლების დაუკითხავად წაუყვანია მამაჩემი და ეკლესიაში მოუნათლავს. იგი საოცრად მორწმუნე ქალი იყო, ახლაც მახსოვს ნიშაში რამდენი სატი და შანდლები ჰქონდა. ამჟამად იქ მამაჩემის მეგობარი ვლადიმერ (ვოვა) ცინცაძე თავის დედასთან და ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობს. ქსოვი შესული ვეძახი ხოლმე ჩემს მეგობრებს მაცოცხალ და გაოს, ზოგჯერ ფანჯარაში მათ ნაცვლად გადმოიხედავს ბებია კლარა, – ფაცია, ვოვას დედა და სიყვარულით რომ არ მომიციტოს, ისე არ გამისტუმრებს. როგორ დაბერებულა ჩემი ფაცია ბებია! გული მეტკინა, როცა დავინახე, რომ მშვენიერი ცაცხვის სეგები ფანერის ხუხულებში მოექციათ, პაპაჩქემის ვაზის ტალავრის ქვეშ კი რუინის გალია დაედგათ და ავტომანქანა ჩაემწყვდიათ. ვუყურებ ჩემი ძველი ქუჩის სახლებს, რომლებსაც დროისა და ეკონომიკური გაჭირვების მასწავლელი ხელი ატყვია. ყველას დაფიქრება გვმართებს! ჩემი აზრით, ქალაქის დღევანდელ მკერდებს არა გვაქვს უფლება, რომ ძველი თაობების დიდი გემოვნებით ნაშენი სახლები ასე დაგამანინჯოთ, გაგანდაგუროთ და მათ ადგილას უსახური შერობები წამოგვიმოთ. მე ჩემს თანატოლებსაც და ყველას მინდა ვუთხრა, რომ, ჩვენც ისევე უნდა გვიყვარდეს მშობლიური ქალაქი, უბანი თუ ქუჩა, როგორც ძველებს უყვარდათ.

სალომე მთხოვაშვილი, თბილისის სასწავლო-სატელევიზიო რესპუბლიკური ტელეპროფილური ლიგების მესამე კურსის სტუდენტი

## ჩვენი მოგონებების სახლი

ეს წერილი, რომელსაც „მეფეთუზანი“ გათავაზობთ, ჩემი, შენი, ძვირფასო მკითხველო, მეგობრის, ნაღდი თბილისელის, ჩვენი უბნელის ნოდარ ცხვირაგავილის ქალიშვილის, მომავალი ჟურნალისტის სალომეს დაწერილია.

ნოდარი „მასწავლებელთა მასწავლებლის“ დამსახურებული პედაგოგის, ლენინის ორდენოსანის, დიდებული ლიტერატორის ვლადიმერ ცხვირაგავილის ოჯახში დაიბადა. ბატონი ლადო მრავალი ქალიშვილისა და ვაჟკაცის აღმზრდელი, გზის დამკვლიანებელი იყო. მის აღზრდილობაგან ძალიან ბევრი სახელოვანი პიროვნება, რომლებმაც საქართველოს სამსახურში ძალ-ღონე არ დაიშურეს – იშრომეს, იღვაწეს, გაჭაღარავენ, მოხუცდნენ და ზოგიც ვალდებულნი მიეზარა სამშობლოს მიწას. ნოდარის დედაც – დედა ქსენია სათნო, შვილებისა და ჩვენი მოსიყვარულე იყო. ამიტომაც არ შეიძლება ნოდარი არ გამოსულიყო ის, რაც არის, უწყინარი, ცოლ-შვილსა და მეგობრებზე გადაგებული კაცი, კარგი ინჟინერი.

მართალია, ნოდარი ცოტა გვიან დაქორწინდა, მაგრამ შესანიშნავი ოჯახი შექმნა – „უცხო მხარის ქალი მოიყვანა“, და როგორ გაუმართლა – რა ქართული ოჯახი შექმნეს, მშვენიერი ორი ქალიშვილი გაზარდეს და ახლა ბებია და პაპაც გახდნენ.

თუმცა ახლა ნოდარი ძველად ნიკოლოზის, შემდეგ კალინინის (ახლანდელი ივანე ჯავახიშვილის ქუჩაზე) აღარ ცხოვრობს, მაგრამ მისი შვილები ძველქალაქურ ქსოვი მდებარე სახლში დაიბადნენ, იქ წამოიზარდნენ და ამიტომაც არის, რომ ასეთი სიყვარულით აღუწერია მამისა თუ ბებუის მონათხრობი და თავისი ნანახი სალომეს.

მე თბილისელი ვარ და როგორც ყველა ქალაქელი (ძველი თაობის თბილისელები ასე უწოდებენ თავიან თავს), გამორჩეული სიყვარულით მიყვარს მისი ძველი უბნები, მიყვარს მეფეთუზანი და ოქროს უბანი – ყოფილი მიხეილის, შემდგომ პლუხანოვისა და ამჟამად დავით აღმაშენებლის პროსპექტი თავისი მიმდებარე ქუჩებით. აქ ჯერ ნიკოლოზის, შემდეგ კალინინის და ახლა კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქუჩაზე ძველ სახლში ცხოვრობდნენ ჩემი პაპა და ბებია, იქ დაიბადნენ მამაჩემი, ბიძა – ახალგაზრდობაში ტრაგიკულად დაღუპული თამაზი და მამიდამეტი თამარი. ჩემი და რუსუდანი და მეც აქ დავიბადეთ, ამ სახლში, სადაც ჩვენი დაუფიქარი ბავშვობის წლებმა გაიარა. ახლა აქ, ჩემი ცოტა ნაცნობილა ცხოვრობს, მაგრამ ყოველი კუთხე მშობლიური და ძვირფასია. ახალ კარგად მესმის მამაჩემის, რომელიც ვაყის პარკის ნაცვლად აქ მასეირნებდა ხოლმე და ყოველთვის გულახდილად მესაუბრებოდა, თუ რა ფაქტორები გადხდებოდა ამ ქუჩებში.

ხშირად შემოვუვლი ხოლმე ჩემთვის საყვარელ ქუჩას, შევიხედავ ქსოვი და ნოსტალგია მეუფლება. გული მტკიცია, როცა ნაცნობი ლამაზი ჩუქურთმებიანი ღია ქართული აივნების ნაცვლად, აგურით ამოშენებულ ლოჯიებს ვხედავ. აი, ჩემი სახლიც – ჩამონგრეული ბათქაშით, რომლის სახურავს ახლაც ატყვია მითოლოგიური გმირების, რაინდების, ქანდაკებების ნიშნები. რა ქნან, სახლის ახალ მცხოვრებლებს აღარა აქვთ მისი მოვლის თავი და ინგრევა ეს ულამაზესი შენობა, რომლის ფასადზეც ჯერაც ივითება აშენების თარიღი – 1891 წელი.

ივანე ჯავახიშვილის ქუჩის №97 სახლი აუშენებიათ არქიტექტორ შტერინის პროექტით. სახლი სამი ოჯახი-


ფიო და შვილი კონსტანტინე ცხოვრობდნენ. შვილს ჩინებული მუსიკალური განათლება ჰქონდა მიღებული. კონსტანტინე გონივე იპერის ორკე-



სტრში უკრავდა, მონაწილეობდა სამაშობლო ომში, შემდეგ კი იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასულიერო კურსის ერთ-ერთი დირიჟორი. ამ კოლექტივს ექვლეტუნის ორკესტრის სახელით კარგად იცნობდნენ ძველი თაობის თბილისელები (იგი ხომ სისტემატურად უკრავდა პლესანოვის პროსპექტზე ოფიცერთა სახლის, არტოს, მუშაიდის და ფილარმონიის ბაღებში, სადაც ზაფხულის სეზონით შეწუხებული თბილისელები სერიოზოდნენ ხოლმე ოჯახებთან ერთად). პირველ სართულზე ცხოვრობდნენ წერეთლებისა და ნასიძეების ოჯახები. გასაბჭოების შემდეგ სახლს მთავრობა დაეპატრონა. ბაქოდან გამოქცეულმა ალექსანდრე გონივამ თან წამოიყოლა ძველი მეგობრის რაყედნ ცინცაძის

რა ეროვნების, რა ბედის, განათლების, პროფესიისა და სასიათის ადამიანი. აქ ყველამ იცოდა, ვინ ვინ იყო და ვინ ვის უყვარდა. მამის ბინის კარს არავინ კეტავდა. წასვლისას მწობებს ეტყოდა – მივდივარო, გამოიხურავდა კარს და წავიდოდა. გაჭირვებაშიც არ სტოვებოდნენ ერთმანეთს. ეტყობა, ამან გადაატანინა მათ საბჭოთა ხელისუფლების უმძიმესი სმემდგომი გაჭირვება. არ გარყვს და მხვრეული ბალტიისპირელი წითელი მეთაურის ქვრივი იულია ტარაუტი, ინგლისელი ინჟინრის ვილნიუსის მეუღლე ნატალია ჭუჭუმიჭავაძე გოგონებით, ულამაზესი გერმანელი გოგონები ირმა და ნელი რედლინები, რომლებსაც ომის დროს გადასახლება

დიდებუ – დიდი ღებუ, ანუ დაბალი, ვაკე ადგილი, თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი, მდებარეობს მდ. მტკვრის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს. ადრე მას (V ს.) „ცხენის ტერფი“ ეწოდებოდა. იგი სამეფო დომენი იყო. აქ იდგა სამეფო



## მეფეთუზანის დიდებუ

სასახლე და კარის ეკლესია, რომელიც იქორწინეს თამარ მეფემ და დავით სოლანამ. აქვე იყო ციხე-კოშკი, შესანიშნავი ბაღები და სარწყავი არხები, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ თბილისის მოსახლეობის მომარაგების საქმეში, განსაკუთრებით ამ უბანში – გერმანელი კოლონისტების დასახლების შემდეგ.

მაგრამ დასახლება ამ უბანში უძველესი ხანიდან ყოფილა, რასაც მოწმობს 1930-1931 წლებში მექანიკური ქარხნის მშენებლობის დროს გათხრული ძველი (გათხრების ხელმძღვანელი პროფესორი გ. ნიორაძე, „ხოლო შემდეგ სპეციალურად შეისწავლა არქეოლოგმა დ. ქორიძემ).

გაირკვა, რომ ამ ადგილას „დამწვარი“ მიწა და ორმო – სამარხი იყო, ხოლო ქუჩის გვერდით აღმოჩენილი დიდი ზომის ჭურჭლების, ობსიდიანის უამრავი ანატექციების მიხედვით დადგინდა, რომ სწორედ ამ ადგილას ხდებოდა ობსიდიანის იარა-

ღის დამზადება. ამას ისიც ემატება, რომ აქ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნამტერევეები, ნაცარი, ნახშირი, წილა და სხვა, რაც მოწმობს, რომ საქმე გვაქვს ნამოსახლართან, რომელიც ძვ. წ. IV-III ათასწლეულთ თარიღდება.

დადგინდა, რომ დიდებუში, ენეოლითის მთელ პერიოდში, ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულიდან ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულამდე ცხოვრობდა ერთი მოდგმის ხალხი, რომელიც მიუხედავად მეზობელ ტომებთან ურთიერთობისა, დამოუკიდებლად ჰქმნიდა თავის საკუთარ, მაღალ კულტურას.

მთელ ამ პერიოდში დიდების მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას, მეურნეობაში დიდი ადგილი ეკავა ასევე მონადირეობასაც და მეთევზეობას. საინტერესოა ისიც, რომ დიდების მოსახლეობამ ამ დროს უკვე იცოდა სუფთად დართული ძაფით ქსოვა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი კერამიკული ნაშრომის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი სამ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა, I ჯგუფი – რომელიც რიცხობრივად ჭარბობს, ადრე, შუა და გვიანი ენეოლითური პერიოდის მასალებს შეიცავს და შედგება უმთავრესად თიხის ჭურჭლის, ობსიდიანისა და კაჟის იარაღების, ქვის ნაკეთობების, ობსიდიანის დაუმუშავებელი ანატექციებისა და ძველი ნაკეთობებისაგან.

II ჯგუფი – წარმოდგენილია ძვ. წ. პირველი ათასწლეულის შუა ხანების არქეოლოგიური მასალით და მოიცავს მოწითალო ფერის შავი, პრილა, მოხატულ ჭურჭელს, ბრინჯაოს ნივთებს, უმეტესად სამკაულებს და შუშისებრ პასტის მძივებს.

III ჯგუფი – წარმოდგენილია ძველი და ახალი წ. ა. მიჯნის წითელი ფერის თიხის ჭურჭლით, რომელთაგან ზოგიერთი წერნაქსაშულია.



ამ ჯგუფში შედის ბრინჯაოს ნაკეთობანი, უმთავრესად სამკაულები. დიდების ტერიტორიაზე ყველა ეპოქის არქეოლოგიური ნივთია აღმოჩენილი, მათ შორის V ს. სპილენძის მონეტა დიდების ხიდთან.

რ. ტყეშელაშვილი



# ჩემი პრის კლიერმა სულმა კვლავ გაიმარჯვა

ვევლანზე გამორჩეული მაგალითი ადამიანსა და ბუნებას შორის კავშირისა, გულის ვაჟკაციური წვრთნისა, მისი სულის და ზნეობის ღვთისებური განსაკუთრებისა ალპინიზმი მგონია. დარწმუნებული ვარ, რომ ამ დიდებულ სპორტში ჩალაგულიანი კაცი ვერასოდეს გაიმარჯვებს და ვერ მიაღწევს იმ წმიდა და ნათელ ადგილს, რომელსაც მხოლოდ უხილავი შემოქმედის ხელი ადევს. ამიტომ არის ასე ანდამატივით და სიყვარულით არ იყოს, მხოლოდ ვაჟკაცების თანაზომადი, ეს სპორტი, რომელიც მხოლოდ სუფთა ზნეობის ადამიანებს ხელეწიფებათ.

მთელი საქართველო სასიხარულო ცნობამ მოიცვა. ქართველი ალპინისტების ბრწყინვალე გამარჯვებამ თითოეული ჩვენთაგანის გული სიამაყის გრძობით აგვივსო. ჩემი ერის

ძლიერმა სულმა, ოდითგან ძლიერმა მკლავმა და მუხლმა კვლავ გაიმარჯვა.

12 მაისს კავკასიური ექსპედიციის წევრებმა ბენო ქაშაყაშვილის ხელმძღვანელობით პირველებმა აიღეს მწვერვალი, ხოლო მეორე ჯგუფმა, რომელსაც გია თორთლაძე ედგა სათავეში 26 მაისს, დილის 11 საათზე ფეხი დადგეს მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე ევერესტზე, ჯომოლოუნგმაზე და ქართული ალპინიზმის ისტორიაში პირველებმა ააფრიალეს თავისუფალი საქართველოს ეროვნული დროშა.

მსოფლიოს უმაღლესი, 8848 მეტრი სიმაღლის ევერესტი - ჯომოლოუნგმა ქართველების მიერ დალაშქრულია!

ევერესტის სიმაღლიდან საქართველო მართლაც ღირსეულად ჩანს.



აფერუმ, თქვენ გმობას, ჩვენო ვაჟკაცებო.

მეფეთუნის ტრადიციითა აღორძინების საზოგადოება სულითა და გულით გილოცავთ ამ ბრწყინვალე გამარჯვებას.

ჯომოლოუნგმას თოვლივით სპეტაკი გულით გვევლოთ დიდ სიმაღლეების დასალაშქრად ჩვენი ერის სასახელოდ, დღევანდელს, მზვერკელობას, დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურვებთ.

იტოცხლეთ, იღვგრძელებთ მრავალგამიერ.

(სურათის და მასალების მოწოდებისათვის დიდი მადლობა იური-სტს და მთებზე უზომოდ შეყვარებულ ახალგაზრდა ალპინისტს ირაკლი კორძაბას.

ზზია მალიძე



## თქვნიერითის ჯარსეკოჯები

**პან გაალი ვერ ისპანას**

ბარსელონას ხელმძღვანელობამ გულმკერდით ახალი შენაძენი სიმაო საბროსა აჩვენა, კლუბმა მასში 15 მილიონ დოლარად პორტუგალიური კლუბ ლისაბონის „სპორტიინგიდან“ გადმოიბირა. ბარსელონას კიდევ სამი ფეხბურთელი შეემატება, ფრანგი ფრედერიკ დეუ, ფინელი იარი ლიტმანენი და მალიოიკას თაედამსხმელი დანი გარსია. მაგრამ ამით არაფერი დამთავრებულა. ვან გაალს სურს გადმოიბიროს „სელტას“ ნახევარმცველი რევიო, „მილანის“ გერმანელი ნახევარმცველი კრისტან ციგე და „ბეტისის“ თაედამსხმელი ალფონსო ჰერეირა. მან აგრეთვე განაცხადა, რომ „ბარსელონას“ ექვსი ფეხბურთელი დატოვებს.

**„იუვენტუსი“ გაბრძობა**

ტურინის „იუვენტუსი“ შემდეგი სეზონიდან სულ სხვა გუნდი იქნება. იუვენტუსის ხელმძღვანელობამ რამოდენიმე მაღალი დონის მოთამაშე შეიძინა, რაც კლუბს ძალიან გამოადგება. მათი პირველი შენაძენი „აიაქსი“-სა და პოლანდიის ნაერები 29 წლის მეკარე ედვინ ვან დერ საარია. შემდეგ „რეალსოასი-ედადიდან“ გამოიყვანეს 19 მლნ. დოლარად იუგოსლავიის ნაერების ფორვარდი დარკო კოვაცევიჩი. არ არის გამორი-



ცხული, რომ შემდეგი სეზონიდან გუნდს შეემატება ნიგერიელი მცველი ასანი ოლისე. მან განაცხადა, რომ მხოლოდ „იუვენტუსში“ სურს კარიერის გაგრძელება. აგრეთვე „იუვენტუსმა“, „პარმასა-გან“ შეიძინა არგენტინელი თაედამსხმელი ერნან კრუსო, „პარის“ შემდეგი ნახევარმცველი ჟანლუკა მამბროტა და „უდინესეს“ მარცხენა გარემარბი კონტან ბაკინი. კლუბს დატოვებს მეკარე პერუცი და ნახევარმცველი დი ლევიო.

**ლოთარ მათეუსი აპირიანა?**

მიუნხენის „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაერების დაუბერებელი ფეხბურთელი ლოთარ მათეუსი აღარ აპირებს იანერიდან „ბაიერნში“ კარიერის დამთავრებას. მას დიდი ხანია უკვე იწვევს ამერიკული კლუბი ნიუ-იორკ „მეტრო სტარზი“. ლოთარ მათეუსი ზამთრის შესვენების შემდეგ გადავა ნიუ-იორკ კლუბში. მათეუსის პრობლემამ ბაიერნის ხელმძღვანელობა გასაჭირში ჩააგდო და მათ გადაწყვიტეს გადმოიბიროს „მიუნხენ გლადბახის“ შვედი ლიბერო პატრიკ ანდერსონი. ასევე კლუბს შემდეგი სეზონიდან შეუერთდება ბრაზილიელი „პაულო სერჟიო და 17 წლის პარაგვაელი ეუნდერინდი სანტა კრუზი“.

რაც შეეხება მათეუსს, იგი მოელაპარაკა გერმანიის ნაერების მწვრთნელ ერის რიტეს და ისიც დათანხმდა, რომ მათეუსი უკვე 2000-ზე მიიღებს მონაწილეობას. შეგახსენებთ მათეუსი 38 წლისაა.

**სტივ მაკანამანი**

იგი დაიბადა 1972 წლის 11 თებერვალს ბულტში. სიმაღლე 1.83 სმ. წონა 67 კგ. სტივ მაკანამანის მიერ ჩატარებული თამაშები ლიგაპულში დიდებულა. იგი ძალიან სწრაფია. აქვს ზუსტი პასი, რომელიც ზშირად გოლით მთავრდება. მაკანამანის კარგ თამაშს გლენ



პოლი ვერ ხედავდა და მსოფლიო ჩემპონატზე პირველად ინგლისი-კოლუმბიის თამაშის ბოლოს გამოჩნდა და ისიც 15 წუთით. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის მთელი მსოფლიოსათვის დამტკიცებინა თავისი შესაძლებლობა. შემდეგი სეზონიდან მაკანამანი მადრიდის „რეალში“ ითამაშებს და სამეფო კლუბს მისი შესანიშნავი თამაშით აშკარად გააძლიერებს.

ლევან სალუქვაძე-მცროსი



## ქართული ფეხბურთის ისტორია „მეფეთუნისა“

ამ სურათებმა შემოგვინახეს კადრები იმის შესახებ, თუ რამდენი მაყურებელი დადიოდა თბილისის „დინამოს“ თამაშების სანახაუად. დახედეთ ამ სურათს, ვის არ ნახავდით სტადიონზე მისულს, ქალს, კაცს, დიდას თუ პატარას, მუშას და სტუდენტს,

ნტს, საქართველოს ცკ-ს თანამშრომლებს, ექიმებს და „ტანციორას“ - დათო კობიაშვილს, რომელსაც გვერდს უმშვენიერებენ ცნობილი სპორტული ექიმი თენგიზ ქუთათელაძე, ზაურ კალოვი, ოდნავ მაღლა გივი ჩოხელი ესაუბრება „ცკ“-ს თანამშრომელს,

ქართული სპორტის მოამაგეს ომარ სიამაშვილს, იქვეა „წიგნებში ჩაფლული დავით ფიფიანი“, უფრო მაღლა „ხუტა უფროსი“ გიგენა ჭეიშვილი კ/ფილმიდან „რეკორდი“ და სხვები (სურათი №1).

რომან გვენცაძე, მიხეილ მესხი-უმცროსი და ვეტერანი ფეხბურთელი ალოშა კორტიკაძე.

№4 სურათზე მინდორზე გამოდიან თბილისის დინამოელები ვახტანგ ქორიძე, გუნდის უცვლელი კაპიტანი



მანუჩარ მაჩაიძე, მეკარე დავით გონია, რევაზ ჩელებაძე, ხიზანიშვილი, ვლადიმერ გუცავეი, დავით ფიფიანი და ნახეთ რა „ზღვა“ ხალხი ესწრებოდა თამაშებს, ნეტამც დღესაც ასე იყოს!..



№2 სურათზე „დინამოს“ გულმკერდმატიკერობენ, რეჟისორი „რიფა“ - ოთარ ლევაბერიძე, ყოფილი მეკარე ოთარ რუხაძე - „წიე“; საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას მამა ცნობილი „შაფირისტი“ ლეო ჟორდანი, იბრაჰიმ სარჯველაძე, გრიშა გაგუა, ყველგანყოფი - „ტანციორა“ - დათო კობიაშვილი, მიშა მარი, ექიმი ზაქრო თელია, ილია დათუნაშვილი, პლენანოევი გენო სარჩიშვილი, კახი ასათიანი, ნოდარ ახალკაცი, სერგო კუტივაძე, გივი ნოღია, „ცკ“-ა ომარ სიამაშვილი.

№3 სურათზე, ახლა გენერალ-მაიორი, მაშინ პოლკოვნიკი დემურ მიქაძე, მსაჯი გიორგი ბაქანიძე, „ტანციორა“ - დათო კობიაშვილი, მსაჯი იური ბეზუბიცი.

ლოკაში: პოლკოვნიკი გივი ნაცვლიშვილი, მაშინდელი ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი, ახლა ... დათო სალარიძე, ახლა გენერალ-მაიორი „ვოსტაქე“





# საჩინოაქციო თვისება

გაზეთ „მეფეთუნის“ რედაქციაში შემოვიდა კოლექტიური წერილი მარჯანიშვილის მოედანზე და მარჯანიშვილის ქუჩაზე მცხოვრებლებისაგან, სადაც აღნიშნული იყო ქუჩაზე არასანთარული მდგომარეობა. გარდა ამისა, ისედაც ვიწრო ქუჩაზე და ტროტუარები გამოყენებული ჰქონდათ ქორ-ვაჭრებს და გასასვლელი გზა მეტად ვიწრო, უსუფთაო და არასანთარული მდგომარეობაში იყო ფეხით მოსიარულეთათვის და ტრანსპორტისათვის. დაყრილი მწვანელი, ხილი და ნაგავი აწუხებდა ყველას, როგორც ამ ქუჩაზე მცხოვრებთ, ასევე ფეხით მოსიარულე ხალხს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქუჩაზე მცხოვრებნი დასმარებისთვის მიმართავენ ჩვენი ქალაქის მესვეურთ, რომლებსაც ევალებათ მოუარონ და მოაწესრიგონ ჩვენი ქალაქის ცენტრალური მოედნები და ქუჩები, რათა ქალაქს მიეცეს სილამაზე, რომ თავიდან ავიცილოთ სიცხის დროს უსუფთაობით გამოწვეული სხვადასხვა ეპიდემია, რაც უყურადღებოდ დარჩა. ითხოვდნენ ღია წერილს პრესაში. მეფეთუნის რედაქციის ძალისხმევით, პირადად რედაქციის წევრის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის გენერალ ლეიტენანტ ბატონ ჯემალ მიქელაძის დახმარებით დღესდღეობით საკითხი მოგვარებულია.

ამ საქმის დროული გადაწყვეტა - მოგვარებისთვის რედაქციაში შემოვიდა მაცხოვრებელთა მადლობის წერილები, რომლებიც ეკუთვნის ბატონ ჯემალ მიქელაძეს და ჩვენი გაზეთი აქვეყნებს მას.

# პაციფიკური ხედაქცია!

ქ. თბილისის მახანშივილის ქუჩის მოსახლეობამ, თქვენი გაზეთის საშუალებით, გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ გაზეთ „მეფეთუნის“ ხედვითა და წყობით, მ. ს. მინისკის მოადგილეს, გენერალ ლეიტენანტს ბნ ჯემალ მიქელაძეს, ხაგან მან დიდი ყურადღებით მოგვიხმინა და გულთან ახლოს მიიყვანა მოსახლეობის ნუხილი მახანშივილის ქუჩაზე გამართული გაზეთ ბაზრობისა და ანტიანტიკვიის მდგომარეობის შესახებ. ამამად გახედახობა ალყვეთილია და მახანშივილის ქუჩაზე დამყა-ხევიცა ნუხილი.

ჩვენი ემაყოფილები ვიქნებით, თუ ეს მოვლენა ახ იქნება ძიხობით. აქვე გვინდა დავძინოთ, გახედავქიჯთა ექვეტი ხაოდენობა შეეფახა სადახბაზობებსა და ეზოებს და იქ აგძიებენ ვაჭიხობას. ასევე მალა-ზიებმა გამოიყანეს საქონელი ქუჩაში და თავიანთი მალაზიების წინ გამართეს გაზეთ ვაჭიხობა. იმედი გვაქვს, ამ საქმესაც მოვეცება და მახანშივილის ქუჩაზე საბოლოოდ დამყახევა ნუხილი.

- |              |                |               |
|--------------|----------------|---------------|
| 1. ანდრია    | 14. ყ. ახაიძე  | 25. მამია     |
| 2. გოგიჩაიძე | 15. ბ. ჯაბაძე  | 26. ნაღობაძე  |
| 3. მიქაძე    | 16. პ. აყაძე   | 27. მიხეილაძე |
| 4. გოგიჩაძე  | 17. გ. აყაძე   | 28. ვ. ვაჭაძე |
| 5. მანუჩაძე  | 18. გ. ლხვიძე  | 29. ვ. ვაჭაძე |
| 6. თამარია   | 19. გ. კორძაძე | 30. ჯახეტიანი |
| 7. ვახტანგი  | 20. გ. კორძაძე |               |
| 8. სიმონი    | 21. ვ. ვაჭაძე  |               |
| 9. სიმონი    | 22. ვ. ვაჭაძე  |               |
| 10. ანდრია   | 23. ვ. ვაჭაძე  |               |
| 11. ანდრია   | 24. ვ. ვაჭაძე  |               |
| 12. ვახტანგი |                |               |
| 13. ვახტანგი |                |               |



# ჰოეზიის ოსტატები და მეცნიერები ხუმობენ

ქართველ მწერლებს რუსი კოლეგები ჰყვადით სტუმრად. სუფრა საგურამოში, ილიას ვენახის თავში, მწვანე მოლზე გაუშალეს სტუმრებს. გოგლა ლეონიძე თამადაობდა. ძალიან აქებდა ერთ პოეტს და წარამარა ეუბნებოდა:  
- Ты дуб, ты тигр!  
ნიკოლოზ ტიხონოვი ვეღარ მოითმინა და:  
- Да кто же он, тигр или дуб!  
- Он тигр под дубом, - უმაღ მიუგო გოგლამ.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ერთ რომანს პირველად „მირს სიმინდის რესპუბლიკა“ ერქვა. მეორედ რომ გამოსცა, „იმერეთი“ დაარქვა. შემდეგ გამოცემას „იმერეთის ცისკარი“, ბოლოს „კოლხეთის ცისკარი“. მეხუთედ რომ სცემდა ამ რომანს, წუხდა, სახელი მაინც არ მომწონსო.  
- ახლა შენ წიგნს „ბატონები“ დაარქვი, - ურჩია გოგლამ.

# გონივრების საზღაურო

30-იანი წლებია, უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი ნიკო მუსხელიშვილი ზამთრის სესიებზე მეცნიერულ ცდის სტუდენტებს. რამდენიმე მათგანი ჩაიჭრა. მათ შორის ერთი სევანი, რომელსაც აუდიტორიაში, მერხზე უბის წიგნაკი დარჩა. ბატონმა ნიკომ გადაფურცლა წიგნაკი. ფურცლებზე მსხვილი ასოებით ეწერა:  
დალაშქრის განტოლება - პ.ზ.ჯ.  
ფურცელს გარდაქმნები - პ.ზ.მ.ჯ.  
მდგრადი ტალღები - შ.უ.ჯ.  
ღირისლეს ამოცანა - შ.მ.ჯ.  
პუასონის გული - შ.მ.ჯ.  
პროფესორი გაოგნდა. ვერაფრით ამოხსნა ეს რეზუსი. ვერც მათემატიკის ინსტიტუტში გაუგეს თავი და ბოლო. ბოლოს გამოიძახა ბატონმა ნიკომ სტუდენტი და ამ ქარაგმების გაშიფვრა სთხოვა.

ორიანი ხომ დამიწერეთ და მეტი რა გნებათ? ეგ ჩემი საიდუმლოა და ვერ გაუმხელო, - გაჯიქდა სევანი. „დამაკაყოფილებლად“ გადაგიყვებ, ოღონდ მიხარო, - შეეხვეწა ბატონი ნიკო.  
ოჯახური პირობების გამო თქვენი საგნის მოსამზადებლად ცოტა დრო დამრჩა, მხოლოდ ნაწილის სწავლა მოვასწარი, დანარჩენი საკითხების „შარგალკა“ მოვამზადე და ტანსაცმლის ჯიბეებში გავინაწილე. ეს ასოები, უბარლოდ, მისამართებია: შუჯ - შარვლის უკანა ჯიბეა, პზმჯ - პიჯაკის ზედა მარჯვენა ჯიბეა და სხვა...

ალალი იყოს, ჩემი ნიშანი შენზე, - გაეცინა პროფესორს. სევანი გამოეთხოვა და უკუსვლით წაიდა. - ასე უცნაურად რატომ მიდიხარო? - გაუკვირდა ბატონ ნიკოს. - ბატონო ნიკო, მე მათემატიკური ფიზიკის მეთოდებში ჩავეჭვრი, ზრდილობაში კი არაო, - მიუგო სტუდენტმა.  
კიდევ ერთხელ გადავუსწორე ნიშანი, ახლა უკვე „ოთხიანად“, - ჰყვებო დიმილით ბატონი ნიკო.

ზურაბ ქაფანიძის საქართველოს სახალხო არტისტის წოდება რომ მიანიჭეს, მეგობრებმა დაურეკეს. ზურაბი შინ არ აღმოჩნდა; ამიტომ, გახარებულემა მის მეუღლეს მიულოცეს, - თამარიყო, გილოცავთ ქმრის სახალხოობასო.  
- რას მილოცავთ, ეგ ხომ სულ სახალხო იყო, ჩემი არასოდეს ყოფილაო, - სიცილით უპასუხა თამარიკომ.

# იუმორი

რამეო. დახლთან გურული იდგა, ისიც საჩუქარს ყიდულობდა. კახელი მიხრომ დანახა, ხუმრობის ხასიათზე დადგა - და გამყიდველს მიმართა:  
- გოგონი, კახური ფანქრები ხომ არ გექნება?  
- კახური ფანქრები როგორია? - გაუკვირდა გამყიდველს.  
- გაუთლელი, გენაცვალე!  
- არა გვაქვს! - უპასუხა გამყიდველმა.  
მიხრო მიუხედა გურულის ენაკვიმატობას და არც ის დარჩა ვალში.  
- ბოდიში გოგონი, არც გურული ქინძისთავები გაქვთ?  
- ეს როგორებია? - იყითხა გაკვირვებულმა გამყიდველმა.  
- უთავოები! - ამყადა აუხსნა მიხრო.

მასწავლებელმა მოსწავლეების საშინაო - წერილი დაეალებები შეამოწმა; შემდეგ ერთ-ერთს კითხა:  
- თუა, ეს ნამუშევარი სულ შენი ძმის ხელნაწერს ჰგავს.  
- ადვილი შესაძლებელია, მასწავლებელო. მისი კალმისტრით დავწერე, - მიუგო თეამ.

ცოლ-ქმარი სტუმრებს ელის. ქმარმა ჩამოუარა წიგნების კარადას, ამოიღო იქიდან ათი წიგნი და ოთახიდან გაიტანა.  
- სად მიგაქვს, კაცო, რა მოიპარავენ? - გაიკვირა ცოლმა.  
- არა, მაგრამ ხომ შეიძლება, იცნონ...

გურული გლეხი ყანას თონხიდა; ამ დროს ცოლის სიკვდილი (გარდაცვალება) შეატყობინეს. გამწარებულმა გურულმა თონხი ხელიდან გააგდო და სიკვდიანმა ამოიხრიალა:  
- აფსუს, რა მაისის დღე მიცდება!...

პარიზში ყოფნისას ლალო გუდიშვილს სახელოსნოში ეწვია ცნობილი მხატვარი სულოაგა. იგი მოხიბლა ახალგაზრდა ქართველი ხელოვანის ტილოებმა. ერთხანს ისაუბრეს, ერთმანეთს გაუზიარეს გულისხანდები. ლალო მოწონებთ გააცილა ფურცლის კოლეგა და შინ მიბრუნებულმა შენიშნა, რომ მანქანის თავისი ქუდის ნაცვლად ლალოსი წაიღო. შეწუხებული დაეღევენა და ქუდი გაუწოდა.  
სულოაგამ დიმილით დახედა თავის თავსარქმელს და ლალოს მიმართა. - ძალიან ბედნიერი ვარ, თქვენსარი მხატვრის ქუდის დახურვა რომ მომიწევს. დარჩეს ჩემი შლიაპა თქვენთან! - დიმილით გამოეთხოვა და გზას გაუღდა.

# პოლიტიკური ბომონდი აუქციონზე

„სოთხის“ დირექციამ, ამ ცნობილი ფირმის არსებობის მანძილზე, პირველად მოაწყო სახელმწიფო პოლიტიკური მოღვაწეებისადმი მიძღვნილი აუქციონი. ფირმამ წერილობით მიმართა დეპუ-

- იცანით ეს დანა?  
- დიას!  
- მადლობა ღმერთს ბოლოს მაინც გამოტყდით.  
- რაში გამოვტყდით... ამ დანას მესამე თვეა, ცხვირწინ მიტრიალებთ, აბა არ გიცნობდი?

ტატებსა და პოლიტიკურ ბომონდს, გამოეგზავნათ „პოლიტიკური სუვენირები, რომლებიც არ ენანებათ“. მიღებულ ნივთებს შორის იყო: კონსერვატორ რობერტ პილის სამეღნე (პილს პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა (1834-1835 და 1841-1846 წლებში) - იგი გამოგზავნა სპორტის მინისტრმა ტონი ბენქსმა. შ.ს. ყოფილმა მინისტრმა ლორდმა ბეიკერმა დათმო თავისი პოლიტიკური კარიკატურების კოლექციის ნაწილი.  
აუქციონზე მაინც ყველაზე საინტერესოდ უინსტონ ჩერჩილი იყო წარმოდგენილი. მისი დიდი სურათი „კაპონეინი“ - ლორდ ბეიკერბრუკის ვილა სამხრეთ საფრანგეთში - გაიყიდა 40 ათას გირვანქად. გარდა ამისა, სარფიანად გაიყიდა ჩერჩილის სიგარეტის ყუთი, რომელიც პრემიერ-მინისტრს არასტრეტულე ონასისმა უძღვნა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ნაჩუქარი საათი „პოპულარ“, ერთ-ერთი ცილინდრი, ბრენდის სიჩა და ვენზელიანი საშინაო ფეხსაცმელი.



- ქეთევან, რა ლამაზი ძაღლი გყოლია!  
- დიას, თანაც ძაღზე ერთგული. სამჯერ გაგვიღე და სამჯერვე უკან დამიბრუნდა.

„... ჩვენს უბანში, ქელეხზე, ერთი პიროვნება სანადირო ძაღლით მისულა და ლაგებში ჩამჯდარ ძაღლს „ასატრინი“ და სწავლასწავ თევზულოთ კვებავდა“.



- სანადიროდ გამოწვობილხარ და თოფი არ მიგაქვს?...  
- სანადიროდ კი არა, ქელეხში მივდივარ.  
- მერე ძაღლით?  
- რა მოხდა, „პერისაც“ უყვარს „ასატრინა“...



**საქართველო**  
№6(18)  
ყოველთვიური

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „გლობალ-პრინტი“  
გამოდის  
საზოგადოებრივ საწყისზე

რედაქცია პასუხს არ აგებს გამოქვეყნებული მასალების შინაარსზე. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე  
- რას მილოცავთ, ეგ ხომ სულ სახალხო იყო, ჩემი არასოდეს ყოფილაო, - სიცილით უპასუხა თამარიკომ.

დამფუძნებელი: ვაჟა სარქველი - საზოგადოებისა და სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, გამომცემელი.  
საბჭოს წევრები: ჭაბუა ამირეჯიბი, ნანული ბარათაშვილი, გურამ გვეტაძე, ვანო ზაზაშვილი, ნოდარ ზედელაშვილი, ჯემალ კვანტალიანი, ჯემალ მიქელაძე, ილია ტაბაღუა, მიხეილ ქვლივიძე.  
სტილისტ-კორექტორი: ღონარა ბერიძე

მოამზადა და გამოუშვა რედაქტორმა ვაჟა სალუქვაძემ. თბილისი 380064, მიხეილ წინამძღვრის ქუჩა, №114. ტელ.: 95-45-90.